

საქანონმდებლო სსრ გეოგრაფიული სახ-ბის შრომები

ლოც. ლ. ა. კარბელაშვილი

# სოფელი ქვემო ჭალა



კასპის ციფრული არქივი

DIGITAL ARCHIVE OF KASPI

№ 1-2

1949

~~კარტოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პარობები~~  
~~22-VIII-1949.~~

ლ. კარტოგრაფიული

## ს რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი ს ტ ა ლ ი

I. ქვემო ჭალის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პარობები

სოფელი ქვემო ჭალი მდინარე ლეჩურის ხეობაში მდებარეობს (კასპის ჩრდილოეთი 13 კილ. ძანძილზე). ეს სოფელი თავის სარაიონო ცენტრს (კასპის) საქალაქო განიერი და კარგი გზატევილიათ უკავშირდება. ხოლო ქ. გორის — ასვალტირებული ჭარილის გზით და ქ. თბილისაც ამავე ქართლისა და საქართველოს სამხედრო გზებით. გორისა და თბილის ქვემო ჭალა რკინისგზითაც უკავშირდება სად. კასპის მეზევობით.

ქვემო ჭალა 680 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ზღვის დონიდან და თავისი კოორდინატებით (42°25' სიგანგედი და 44° 25' სიგრძედი) მუხრანისა და მეჯვრისხევს შეუძლია იმყოფება, რაც ძალა ამ სოფელებთან შედარებით ხაკლებ ანსახურებს თავისი ბუნებრივი პირობებით.

დღევანდელ ქვემო ჭალის, ოოგორც „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, მე 17 საუკუნის დასაწყისს „საფურცლის ჭალა“<sup>1</sup> რქმევია, რაც იმის ძარენებელია. რომ მის არემარები ბლობად მდგარა თუთის ხევით.

შემდგომი დროის მანძილზე, ამავე „ქართლის ცხოვრება“ში და სხვა ძეგლებში, ამ სოფელს მხოლოდ „ჭალა“ს უწოდებენ.

ჭალა ქ. საბა სელჩან თრელიანის გამარტივით, არის „წყლის პირი ნაყოფირი“, ხოლო აკად. ივ. ჯავახიშვილის გამარტლვით — ჭალა მცენარეულით დაფარული „წყლ ს პირას მდებარე ლამიანი ნიადაგი და ადგილია“<sup>2</sup>.

ამავე საკითხს არკვევს აკად. ნ. ნ. კუცონევა, რომელიც დაასკვნის: „ქართლის დიალექტში სიტყვა ჭალა გაიკვება მდინარის პირი აღვილად, როგორც ჩვეულებრივად ტყით არის მისილი, შეკრამ შეიძლება იყოს მდინარის პირის მინ ური, უმთავრესად საძოვრად გამოყენებული და ბუქნარით დაფარული. უფრო ხშირად კი ჭალის ეტყვიან პირდაპირ მდინარის პირას ტყის აღსანიშნავად“<sup>3</sup>.

ამ შინარსით ქვემო ჭალის სახელშოდება სავარებით გასაგებია, რადგან ძეგლად მდ. ლეჩურის ნაპირები ხმირი ჭალიან-ტყიანი ადგილი ყოფილი, შემდეგში კი სოფელი თანადათან გაზრდილა. მოსახლეობა მომრავლებულა, მდინარის პირას მდებარე ჭალები გაუქენებიათ და მათ მავიერ ბალვენახები გაუშენებიათ და ჰარკულეულ-ბოსტნეული დაუთესიათ. ამის მიუხედავათ, სოფელის სახელშოდება „ჭალა“ მაინც დარჩენილა — „ქვემო“ს დამატებით, რადგან ამ დროისათვის შიდა ქართლში სხვა სოფელი. ჭალა „ც გაშენებულა — „ზემო ჭალის“ სახელშოდებით (ხაზურის რაიონში). ამის შემდეგ, საკულევად აღებულ სოფელს „ქვემო ჭალა“ დარქმევია, განსხვავებით აღნიშნული „ზემო ჭალისაგან“.

<sup>1</sup> ქართოს ცხოვრება ნამ. II 1954 წ., გვ. 41. ამის მიღასტირებდენ აქაური მოუსე იც.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, —აქართვე თან ეროვნული ისტორია. აბ. 1935 წ., გვ. 127.

<sup>3</sup> ნ. კუცონევა, —აღმოსავლეთ საქაოფელოს ჭალის ტყები და მათი დღიურის საკონკრეტო თან. 1942 წ., გვ. 12.



საქართველოს სხვა ჯუთხეებშიც არის მრავალი სოფელი, რომლის სახელ-წოდება ამა თუ იმ მკენარეულის სახელთან არის დაკავშირებული. სოფლის სახელშოდება-ჭალა იხსპერებულა, აგრეთვე აქარაში და ყოფი. მაზრებმი ახალციხის, ბორჩალოს, ზეგდიშის, ოზურგეთის, რაჭის (აქაც ქვემო და ზემო ჭალა), თიანეთის, შირაკანისა და სხვა<sup>1</sup>. გარდა ამისა, იმავე „ჭალა-სოვია სხვა სიტყვების მითატებით საქართველომი მრავალი გეოგრაფიული სახელშოდება-გეხვდება, მაგ. რგვალჭალა (ლეხურის ხეობაში), ავჭალა (თბილისის რ-ნში), ორთაჭალა (თბილისში), საჩინჭალა (საგარეჯოს რ-იში), ჭალადიდი (სამეგრელოში), ჭალისთავი (იმერეთში), ჭალასხვიც, ჭალადიდის შესუბი (სამეგრელოში), ჭალა-ტყე (იმერეთში), ჭალახმელა (იმერეთში) და სხვ..

ზოგჯერ თვით ლეხურის ხეობას „ჭალის ხეობას“ აც უწოდებენ, რაც გაკავშირებულია ქვემო ჭალის სახელშოდებასთან, ვინაიდნ ეს სოფელი ამ ხეობაში ყველაზე დიდ და ისტორიულად ცნობილ სამოსახლო პუნქტს წარმოადგენს; მასთან ერთად ეს სოფელი მთელი ხეობის მნიშვნელოვანი აღმინისტრაციულ-ეკონომიკური ცენტრი იყო შორეულ ზარსულში და დღესაც ასეთად დარჩა.

ლეხურის ხეობაში მდ. ლეხურა (ზოგჯერ მას „რეხურა“ ს უწოდებენ) ჩამოდის, რომელიც ქვემო ჭალის თითქმის მო თანაბარ ნაწილად ჰყოფს.

ამ მდინარის სახელშოდების წარმოშობის შესახებ ორი მოსახლება არსებობს. ვახტეტის გადმოცებით: „ჭალის ზეთ არს დაბა რეხი, რომლის გამოიწოდება ძღიარე ესე<sup>2</sup>“, ხოლო მეორე მოსახლებით – ეს სახელშოდება მდინარის მშეოთარე ხასიათის არის დაკავშირებული.

ეს პატარა მდინარე, რომელიც ზაფხულობით ბავშვების საკუუპალო ხდება და ზოგან-კი მთლადაც შრება (ნალექთა შემცირებისა და წყლის სარწყაფ არხებში გაშვების გამო), გახაფხულობით (თოვლის დნობისას) და ზაფხულობით (სათავეში დაღი წვიმებს შეძლება) ისე აღიდდება ხოლმე, რომ თავის ჭალაპოტში ველარ ეტევა, გადადის დაბლობ აღგილებში მდებარე ბალ-ვენახებში, სახნა-სათესში, მოაქს თან აუარებელი ქვა, ლოოლი, ქვაშა, მცენარეული, პირუტყვი და ზოგჯერ წისქვილებასა და სახლების ნაგრევებიც-კი, რომლითაც მდინარე ახლობელ ნაპირებს „ჩარეხვას“ ხოლმე. სწორედ ამ „ჩა-რეხვა“-ს უკავშირებენ მეორე მოსახლების ავტორი ამ მდინარის სახელშოდებას.

ვფიქრობთ, რომ ასეთი მშეოთარე ხასიათი და კალაპოტის ახლო მდებარე არებარის ჩარეხვა. მხოლოდ ლეხურის თავისებურობას არ წარმოადგენს, იგი ახასიათებს სხვა მდინარეებსაც, რომელიც მაღლი მთებიდან და ვიწრო ხეობებიდან გამომდინარეობენ. გარდა ამისა, სახელშოდება ამ მდინარეს ძველთავან აქვს მიღებული, როდესაც ხეობის კალთები ტყეებითა და ბუჩქანით იყო დაფარული, მდინარის დენა საკმაოდ თანაბარ ხასიათს ატარებდა და არც დღევანდელისავით მშეოთარე იყო ლეხურა, რის გამო მდინარის სახელშოდება მის მიერ არემარის „ჩა-რეხვა“-ს ვერ დაუიავშირდებოდა.

ამ მოსახლებათა გამო, ვფიქრობთ, რომ აგაუმტის შეხედულება სავსებით სწორია და მდ. ლეხურას სახელშოდება ხეობაში ძველიც არსებულ დაბა რეხთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული და დღევანდელი მისი სახელშოდებაც აღმაც აქედან წირმოსდგება.

ლეხურის ხეობას და სოფელ ქვემო ჭალის აღმოსავლეთით მდ. ლეხურისა და მდ. ქსნის წყალგამყიუთი-კავკასიონიდან ჩამომავალი, ტყითა და ბუჩქანით შემოაილი, ე. წ. ცხილოს ქედი გასდევს. ეს ქედი მდ. ლეხურისაკენ თახდათან

<sup>1</sup> Пагидев, Д. Д. Атласитетный указатель к пятиверстной карте Кавказского Края Т. I-13 г., 530 стр.

<sup>2</sup> ვახტეტი — აღმერა საქართველოსა. თბ., 1941 წ., გვ. 72.



დაბლა ეშვება და ქვემო ჭალას თავზე დასცერის (მასზე გაშენებული ძველი ცხვილოს ცახით). დასავლეთი ლეხურის ხეობა ტირ ფურის ვალი ესახლვეურა, ხოლო ჩრდილოეთით — კავკასიონის კალთებს (ქოლოთ-ქვიტყოთან) და სამხრეთით-კი — მდინარე გრიკარს.

მდ. მტკვრიდან კასპამდე ლეხურის ხეობა აშურიანის ველის გაზრდელებას წარმოადგენს, ხოლო შემდეგ იგი თანდათან ვიწროვდება და, ბოლოს, ტტკვრიდან შვიდიღი კილომეტრით დაშორებით, ვიწრო ყელის სახეს ლებულობს კლდემ-ლალას ციხესა და წლევის მთის შუა. ამის ზევით (ჩრდილოეთისაკენ; ხეობა თანდათან ფართოვდება და თავის მაქსიმალურ სიგანეს (23 კლ.) სამთავისისა და ქვემო ჭალის ძიდამოქმა იღწევს, ხოლო შეცვეგ იგი ვალავ ვიწროვდება და, ბოლოს, სოფ. საკორინთლაუნ ვიწრო მთიან, ტყე-ბერების მატარებელი და აქა იქ პატარ-პატარია სახნავებით აქრელებულ სახეს ლეაულობს. ამ ხაუილმა ხეობის სიგანე ერთ კილომეტრს იშვიათად აღემატება.

გეოგრაფი ვახუშტი ასე ახასიათებდა ლეხურის ხეობას: „წლევის მთას გასკრის ძღ რეხულა; ქოლოთ-ქვიტყირს ქვევით დის ლეხურა საძხრით, ერთვის გასპას ტტკვარს ჩრდილოდამ. . ხორხებთან, ერთვის რეხულის ხევი უსისტუისა (დლევანდელი მდ. ტორტლა და მისი შეყოლება. ლ. კ) და გამოდის მხოლეობის მთას... აქედან რეხის დაბის ზეთ ერთვის რეხულის ხევი წოლდისა.“<sup>1</sup>

მდ. ლეხურის სათავეთ ქოლოთ-ქვიტყირის მიდამოები ითვლება (ე. წ. ცხრაწყარო), საიდანაც პატარია ნაკადად იწყებს დენას ლეხურა. გზადავზა ლეხურის პატარ-პატარა წყაროები და მთის ნაკადები უერთდებან აღმოსავლეთით და დასავლეთით მდებარი მთის კალთებიდან და, ბოლოს, მდ. შტკარში ჩადის, სადაც „ევერნაკისა და წლევის ქედთა ძირზე განვითარებული აშურიანის ველი: მორკალებულ მოხაზულობას იჩენს“<sup>2</sup> კასპის სამხრეთით.

მდ. ლეხური, მთის სხვა მდინარეებისავით დამახასიათებელ უარყოფითი მხარეებთან ერთად (იდიდების დროს ნ-პარების წალევა), ამ ხეობის სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლისაც თამაშობს.

წყაროებისა და წყალსაღენების სიძირის გამო, ამ მდინარის წყალს მოსახლეობა სასახლად იყენებს, ხოლო მდინარიდან გაყანილ სარწყავ აოხებძე ბლობადაა აგებული პატარ პატარა წისქვილები, რომლითაც სარგებლობს არა მარტო, ამ ხეზის მოსახლეობა, არამედ ტრიოფონის ველზე გაშენებული სოფლების ნაწილიც. მასთან ერთად ლეხურაში ბლობად ვეზედება გემრიელი მურწა და ნაფორტა, კაპორტი და წვირილი ვეზელია

ლეხურის მნიშვნელობა მეტად დიდია აქაური ბალ-ვენახების, ბოსტნეულისა და სხვა ნათეაების სარწყავი წყლით უზოგნელყოფას სიქეში. თუ არა ეს მდინარე, შეუძლებელი იქხებოდა ხეხილის, ვაზას და ბოსტნეულის იმ ზოძად გავრცელება, რასაც დღეს აქაური დეკილი იძ ხეობაში. მართალია, ზუხულებით ლეხურა ვერ ფარავს მთელ მთახოვნილებას სარწყავ წყალზე. მაგრამ მაინც მასზე მნიშვნელოვანად დამოკიდებული სოფელ საკორინთლოს ქვევით მდებარე ბალ-ვენახებისა და ბოსტნეულის მოსახლეობი.

ლეხურის მარჯვენა თუ მარცხენა ხარებზე მრავალი სარწყავი არხით გაყვანილი (ხოვირთა ძათვანის სიგრძე 3-5 კილომეტრს აღმატება). თვით ქვემო ჭილაში ლეხურიდან გაყარილია: კორექის ოუ, შუა რუ, სამთავისის რუ, ახალ ტენის რუ, მურაჩანთ რუ, პარკაძიანთ რუ და პავლიანთ რუ.

ჯერ კიდევ 1931 წ. ქვემო ჭალისა და კოდისწყაროს სას-საბჭოებში შემავალ სოფლებში მდ. ლეხურიდან 94 კმ-ში. ფართობი ირწყოდა, ხოლო ტირიფონის

<sup>1</sup> იქვე, გვ. 72-73.

<sup>2</sup> ალ ჯავახი შვილ ი.—საქართველოს გეოგრაფია, ტ. 2. გეომორფოლოგია. თბ.



არხედან 667 ჰექ.. ამჟამად ტირიფონის არხის წყალი ტირიფონის ეკლის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ყველა სოფლებს იღარ ჰყოვნის და ურწყავი ჩერება მრავალი ასეული ჰექტარი ბალ ვენახი და ნათესი (ქვემო ჭილის, საძთავისის, კოდისწყაროს, რენებისა და სხვა). ტირიფონის არხის დაზროვექტებულ სიძლავრემდე ათვისება წყლის მეურნეობის ორგანოთა გადაუტებელ ამოცანას ჟარმოადგენს. მეორე ბერივ, მდ. ქსნიდან თეზი-ოქმის სარწყავი არხის გამოყვანა თეზის, ოქმის, იგუეთ-სამთავისისა და ქვემო ჭილის მიუწების ნაწილს სარწყავი წყლით უზოუნველქოფს ამურიანის ველის აღმოსავლეთ ნაწილთან ერთად. ეს საკითხი, თუმცა ძევლადაც ისმოდა, მაგრამ მისი პრაქტიკულად გადაჭირა მხოლოდ ამჟამად ხდება.

მდ. ლეხურიდან, ისევე, როკორც ქართლის სხვა მდინარებიდან, სარწყავი არხების გაყვანა პრიმიტიულად წარმოებს, რის გამო აღიღებული მდინარე ხმირად იტაცავს არხების სათავეებს. ფულადი, მატერიალური და ტომითი რესურსების დაზოგვის მიზნით, საჭიროა მთავარი არხების სათავეების საინირო სისტემით გამავრება და მასთან ერთად წყლის სარგებლობის საკითხის მოწესრიგება, რომელიც ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს მთელ ლეხურის ხეობაში.

მართალია მდ. ლეხური თავისი სამეურნეო მნაშვნელობით (აუზის სარწყავი ფართობი უდრის 2.000 ჰექ.) ქართლის სხვა მდინარებს ჩამორჩება, მაგ. ლიახეს, ქასან და თეძამს. მაგრამ იგი ქართლის ზოგ მდინარეს მაინც წინ უსწრება, მაგ. ქავთურას, ხეკორძელას და ნიჩბისს.<sup>1</sup>

მაგრამ ამ სასარგებლო მდინარეს მის ნაპირებზე მდებარე სოფლებისათვის როგორც წარსულში, ისე სადღეისოთ მრავალი ზარალიც მოაქვს. ამის უტყუარ საბუთს წარმოადგენს ის ვეგბეროთელა, საქმიოდ გრძელი და განიერი რიყე, რომელიც ათეული კილომეტრის სიგრძეზე გაჭრული ამ მდინარის (ბეგრჯელ 100-200 მეტრის სიგანეზე) არა მარტო აუთვისებელ აღგილებში, არამედ სოფლებთან და ბალ-ვენახისან აღგილებშიც.

თოვლის გაძლიერებული დრობისა და დღი წვიმების შედეგად ეს პატარა მდინარე აღიღებული მოქმარება ხოლმე ქვევით (ჭალა—ქასპ საკუნ), თავის კალაპოტში ველარ ეტევა, გადმოდის ნაპირებზე და მდინარის პირას მდებარე ბალ ვენახებს, ნათესებს და ზოგან—კი სახლკარსა და წისქილებს ლეკავს, ქვალორით აფებს ნაპირებს და მოსახლეობას უამრავ ზარალს აყნებს.

ის, რაც 1945 წ. მაისში შოხდა (და 1946 წ. მაისში განმეორდა) ლეხურის ხეობაში დიდხანს დარჩება აქაური მოსახლეობის მეხსიერებაში. შეადგინის, ეს მოშენდილზე, სრულიად მოულოდნელად სოფელში საშინელი ხმაური და შეუერთ გაისმა, რასაც თან მოჰყავა აზვიროვნებული წყლის გამოვარდნა (თითქმის მთლად დამშრალ კალაპოტში). ათიოდე წუთის განმავლობაში მდინარის კალაპოტი ისე აივნო წყლით, რომ შეა სოფელში საქმიოდ ლრმა და განიერ აღგილებში (100—150 მეტ. სიგანით) ორმეტრამდე სულ წყალს ველარ იტევდა; წყლი გადავარდა ნაპირებზე, მოედო იქაურობას და ორიოდე საათის განდავლობაში მდინარის ნაპირები ნარიყითა და ქვა—ლორდით ისე აავსა, რომ ზოგან ბალ-ვენახისა და ნათესების ნიშანების მიზანზე აღიარ დასტურა. მდინარის ახლობლად გაშენებულ სახლეარში შეგარდნიობა წყალმა მოიტაცა ოჯახის ნივთები, პირუტყვი, ფრინველი და საქმე; იქმდე მიკიდა, რომ თვით ქვემო ჭილის შეა უბნების (პაპუანთი, ბასუანთი, კარბელანთი, პარაიანთი) მოსახლეობა სახლებიდან გამოვიდა და მაღლობზე მდებარე უბნებს მიაშერა თვითი მოძრავი ქონებით და პირუტყვ-ფრინველით. ასეთი წყალდიდობის მომსწრე-კი არა, გამონიც არავინ ყოფილა მთელ ხეობაში. ქასპში საქმე იქამდე

მოვიდა, რომ რეინიგზის ლიანდაგზე მატარებლების შოძრავა ასცენის სა-  
თით შეწყდა, ვინაიდან აზირობული წყალი რეინიგზის ხილის ქვეშ ვეღა-  
ვტეოდა და ლიანდაგზე გადადიოდა.

მდინარე ლეუკოსის სახთო დიდების მიზეზი ჰერმ ჭალის ზევით (10—15  
კმ. დაშორებით) ასეული კოკისცირული წიგნია იყო.

ლეხურის ხეობაში გაჩეზილი ტყეებისა და ბუქენოის ნაწილები აღდგენა. მა ხეობის ძვირე მიწიან პატარ-პატარი სოფლების ჩრდილოეთ საქართველოში, სამ-გორებე და სხვა შედარებით თავისუფალ ხინჯებე გადაჭვნა და ლეხურის ნაპირებზე ზოგიერთ აღგილებში ჯეზიონების ეგება უცილებელ ლონისძიებას წარმოადგენს ლეხურელთა შემდგომი კეთილდღეობისათვის. უამისოდ, აქ აღწერილი ტრაგედია შემდგომში უფრო ხშირი და ძლიერი გახდება.

ლეხურის ხეობა და ქვემო ჭალა კონტინენტური ჰავით ხასიათდება.

ქართლის სხვა კუთხების მსგავსიდ, აյ ზამთარი საქმიოდ ხანგრძლივო  
და სუსტიანია, ხოლო ზაფხული—შედარებით ცხელია და ზოგჯერ—კი გრილ  
და სასიამოვნოა.

სიცივებით ოქტომბრის დამლევიდან იწყება და ზოგჯერ აპრილის ბოლო-  
მდე გრძელდება; ტემპერატურის დაცემა თავის მწვერვალს დეკემბერ-თებერ-  
ვალში აღწევს. თოვლი ჩევულებრივად გამუდმებით დევს ზამთრის თვე-  
ებში და ზოგჯერ ოქტომბრის დამლევსა და აპრილის პირველ ნახევარშიც მა-  
სულა იგი; ჩევულებრივად თოვლი იქ საკმაოთ ღრმაა და ზოგჯერ ნახევარ მე-  
ტოსაც აღწევს. ზამთრის ყინვები საკმაოდ მერყეობს; ამ მხრივ ქვეში ჭალა და  
ბისი ასლო ძეგბარე სოფლები (რგვალჭალის ზემოდ) საკმაო კონტრასტს წარ-  
მოადგენს კასპთან შედარებით.

Օ՛ օքնու, հոգեսաց մտյալ լցեցրուս եղօծամու մմջենաճ լուզու տոցլու ցցը եռլոմց, հոմ ցիցից մմծոմածա մեռլուճ մահօլուու և Մշումցեա, հցալութալուս յցըմճ և ա յանչու ույ տօնլա եռլոմց և տոցլու մմջենաճ մցորցա, հոմ ցիւից մմմուսցլա մեռլուճ յրմբեծու և յրլցեծու եցրեցցա. յոյցուլա Մշումտչցըցէօ, հոգեսաց յցըմճ յալուճա յանչու Բալսուլ մցիցրու մճ. լցեցրամմջ (Մյա ցիւա յանչու և յցըմճ յոլուս Մորուս) մահելուու յրմցիցրուա, եռլու մուս յցուու յանչու մճ յրմծու և յրլուու յրվլու. մուս Մշօսածամուսաճ լուծ յանչու յցըմճ յոլաստան Մշօսարեծու 7-10 լուու օժիրյուլու յախացերու ու մուսայու օյցու.

ზაფხულის თვეებიდან ყველაზე ცხელია ივლისი-აგვისტო. აქ უკრო გრი-  
ლა, ვიდრე მის აღმოსავლეთით ძღებარე მუხრანში და დასავლეთით ბყოფ მე-  
ჯრისხვეში, ან თვით გორში.<sup>1</sup> ზაფხულის ასეთ სიგრძილეს ხელს უწყობს: სა-  
რწყავი არხებისა და ბალ ვენახების სიუხვე, აღმოსავლეთით ძღებარე ბუჩქნა-  
რთა და ტყით შემოსილი მთაგრეხილი, ჩრდილოეთი კავკასიონისაკენ გახ-  
სნილი ლეხურის ხეობა და დასავლეთისა და ჩრდილოეთ-დასავლეთის გრილი  
და ნოტიო ზენა ქარები.

თუ საერთოდ შიდა ქართლინალეგთა ჩაოდენობრის მხრივ იძერეოს ანიშნელოვნად ჩამორჩება და საქმაოდ დაბლა დგის მეტობელ იღესავლეთ კავკასიონთან შედარებით, ლეხურის ხეობა ნალექთა ჩაოდენობის მხრივ საშუალო აღგილის ტქმნეა მთელ ქართლში და შიო თუცილებელია აქაური ნახნავ-ნათესებისა და ბალ-ვენისახების სისტემატური მოწყვევა.

ნალექებით ლეხურის ხეობა ზამთარში და გაზაფხულზე შედარებით მდიდარია, ხოლო ზაფხულობით ღარიბი, როდესაც, შედარებით მაღალი ტემპერატურისა და ხშირი ჭარების გამო, ნიადაგი ინტენსიურად შრება და, მცენარეულის ზრდა-განვითარებისა და ნალანთო მოსავლის უზრუნველყოფისათვის, ბალ ვენახებისა და ნათესების ორჯერ საჭერ მოჩწყარა აუცილებელია.

<sup>1</sup> Кордзахия, М.—Климатическое описание Грузии. Л., 1937 г., стр. 102-106.

მოელ ქართლის ერთად ლეხურის ხეობაშიც ხშარი და საკმაოდ ძლიერი ზენა ქარები იყის. რაც ზოგჯერ საზარალო ხასიათს ლებულობს (ირაცებს, თესლს, ყვავილსა და ხილს აყრევინებს ხეხილს და სხვა), ხოლო ქვენა ქარები საქმაოდ მმრალია და ცხელი ზაფხულობით. საერთოდ — კი, ლეხურის ხეობისათვის ზაფხულში შედარებით უფრო სასარგებლობა ნოტიო ზენა ქარი, ვიდრე იშვიათი, მაგრამ შშრალი და ცხელი ქვენა ქარი.

მოელ ლეხურის ხეობაში და მით ქვემა ჭალაშიც საკმაოდ ნაყოფიერი ნიადაგია და, კლიმატურ პირობებთან შეხამებით, აქ ყოველგვარი მცენარეული ხარობს, რაც შიდა ქართლისათვის არის დამახასიათებელი.

ვ. ს. მაჩაბელის გადმოცემით „გორის მაზრის ამ ნაწილის ნიადაგი ძლიერ ნაყოფიერია. საკმაოდ ღრმა ნიადაგობრივი ფენი, უმეტეს წილად თიხისაგან და თიხნარისაგან შედგება გადამწვარის (დამაალს) ნიადაგით“. <sup>1</sup> აქაური ნიადაგის ხაყოფიერებას ადასტურებენ აგრეთვე სხვა მკვლევარნი. კერძოთ, ქვემო ჭალაში და მის ძიდამოებში უმეტესად გავრცელისულია ნოყერი შლამიანი ნიადაგები, რომლებიც დრო რაოდენობით შეიკვენ დაძალას. ახნავი მიწის (მინდვრისა და ხეობი) ნიადაგები ზოგჯერ გადამეტებული რწყვის გამო ძლიერ მაგრდება და მათი ბარება თუ ხვნა საძიელო ხდება (ჩვეულებრივად გუთანმში 6-7 ულელი ხარ-კამები უბით).

ამ ქათხის კოლტურული მცენარეული საკმაოდ მრავალცეროვანი და მდიდარია. ბაღ ვენაიებში იზიდება: ვაზი, ვაშლი, ცხალი, კომში, ატამი, გარგარი, ქერამი, ქლიავი, ჭანჭური, დამასი, ლოლნაშო, ბალი, ალებალი, თუთა, ზომარტლი, კაკალი, თხილი და სხვა ხეხილი. გარდა ბროჭეულისა და ლელვისა. თუ ცა, ლელვი აქა-იქ გვხვდება, მაგრამ ზამთრის ყინვებს ვერ უძლებს და საკმაოდ მოხრდილი ხეები ხანდახან იყინება.

მარცლეულიდან ბლობად ითესება ხორბალი, სიმინდი და ქერი, ხოლო მცირედ — შვრია და უგრეხელი.

ბაღ-ბოსტანში მრავალნაირი ბოსტნეულ-მწვანილეული მოჰყავთ, როგორც შინა მოხხოვნილების დასაქმარულებლად. ისე ნაწილობრივ ბაზარზე გასატანად; აქ ითესება: ლობიო, კიტჩი, ხავერი, ნიორი, კომბოსტო, პამიცორი, ბაღრიჯანი, წიწავა, ბოლოვი, ჭარხალი სტაფილი, წიწმატი, ნიხური, ქონდარი, კაპა, რეხანი, ოხრანუში და სხვა, ხოლო კარტოფილი, საზამთრო და ნესტი იმჟიათად მოჰყავთ.

შინაური ფრანგელიზან ჰყავთ: ქათამი და ბატი, ხოლო ნაკლებ — იხვი და ინდაური. შინაური პირუტევიდან გავრცელებულია: კამები, ხარი, ცხენა, ლორი, ცავარი და თხა. გარეული ფინველიდან, ლეხურის ხეობაში გრხვდება: მტრედი, გვრიტი, ქედანი, გნოლი, კაკაბი, მწყერი, შაშვი, შოშია, ჩხართვი, თფოფი, გუგული, ყვავი, ჭილვავი, ქური, კისკისა, წიწვარი და სხვა, ხოლო აქაურ ტყეებში და ჯავნარზე გვხვდება: კურდელი, მელა, მგელი, ტურა და მთამი კი დაოვი და შველი.

ლეხურის ხეობის ლანდშაფტი „დაწყებული მტკრიდან სადვურ კასპა-მდინ სოფ. საკორინთოლოს ჩრდილოეთის საზღვრამდე. ისე ოცი ვერსის სიგრძეზე, წარმოადგენს უფრო გაწლილ, ულამაზეს, უძლიერებს და უზაყოფიერებს ხეობისას. დანარჩენი ჩრდილოეთს ნაწილი კი წარმოადგენს ვიწრო, მთიან და ტყიან დაფილს, რომელიც მოფენილია ბლობად ოსის სოფლებით“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> Мачабели, С. В — Экonomический быт государственных крестьян Горийского уезда, Тифлисской губ. Том. VI. Тб., 187 г. стр. 78

<sup>2</sup> ჭირისუფალი. — ყოილი ქართლისაბ (ლეხურის ხეობა). „კვალი“. 1900 წ., № 45, გვ. 717.



ეს ხეობა სიგრძით დაახლოებით 55—60 კილ. იქნება და იგი საქამიალ მჭიდროდაა დასახლებული, განსაკუთრებით ზუა და ქვედა ნაწილებში. ხეობის მთის კალთები საქამიალ ხშირი ბუჩქნარითა და ზოგან ტყეებითა დაფარული, საღაც ბლობად იზრდება: წიფელი, ოცხილა, მუხა, იჯნი, თელა, კუნელი. კვრინები და სხვა მცენარეული, ხოლო შედარებით დაბალი და ნაკლებ დაქანებული მთის კალთები სოფლებით, სახნავ-სათხისით, ბალ-ვენახებით, ბოსტნეულითა და სხვა კულტურებითაა და ავეგბული.

ლეხურის ხეობა თავისი მდებარეობით და ბუნებრივი პირობებით ერთ-ერთი ულამაზესი ხეობათაგანია მთელ საქართველოში, განსაკუთრებით საუცხოვო სანახა-ია ზაფხულში, რომელიც მაღლიდან დაჰყურებს აღამიანი მის მაღლა ამართულ ასწლოვან კაკლის ხეებს".<sup>1</sup>

## II. ლეხურის ხეობა უძველესი სამოსახლო მხარე

ლეხურის ხეობას და შის არემარეს, მოხურენილ გეოგრაფიულ მდებარეობას-თან და ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებთან ერთად, საკამიალ გრძელი ისტორია აქვს. ეს ხეობა მდიდარია დატერიალური კულტურის ძეგლებით, რომელთა რიცხვსაც საქმიან რაოდენობით ანგარიშმობდნენ გასული საუკუნის დამლევისათვის.

ამ მრავალრიცხვან ძეგლთა გაბილვა ჩვენს ამოცანის არ შეადგენს, ხოლო ზოგიერთი მათგანის ზოგადი დახასიათება კი საჭიროდ მიღებანია, როგორც ქვეთ ჭალის დასახლება განვთარებას. წინამდლვართა კასპი, კლდე-მაღალის ციხე, ცხვილოს ცახე და მისი გალავნები, ლეგენდებისა და აომახ-ზახორის ციხეები, მრავალრიცხვანი კოშები და ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი ძვირფასი ძეგლები, როგორიცაა — სამთავისის, მონასტრისა და, არმაზის ეკლესიები, იმ ერთიან ისტორიულ წარსულის რკალს წარმოადგენენ, რომელიც მეტყოდ მიგვითოებს ამ ხეობის მდიდარ ისტორიულ წარსულზე, რომლის საწყისი ჩვენს წელთაღრიცხვამდელი დროით შეიძლება თათარილდეს.

ქასპი — უძველესი დასახლებული ადგილთაგინია. იგი „ქართლის ცხოვრების“<sup>2</sup> გადმოცემით, ამერებულია ჩვენს წილთაღრიცხვამდე.

გეოგრაფი ვახუმტი კასპის შესახებ გადასცვ კემს რომ ივი „იყო ქალაქი ყრუმდე“<sup>3</sup> (მურვან ყრუმდე-მე-8 საუკ.). რომელსაც იგი ისე აუთხრებია, რომ ქალაქად ველირ მდგარა და „აშ არა დაბა დადიო თ. 3.“

კასპი, დღიდან თავისი დაარსებასა, მრავალი აოცხება, და ნგრევა განუცდია, მიუხედავათ მისი მცხოვრებთა ისეთი ვაკეაცობისა, რომელსაც გაკვარვებაში მოჰყავდა შემოსეული მტერიც-კი, რომელმაც „პი ვნა ყრკული ქართველი უმორატე ყოველთა ნათესავთა სჯულით... და პოზნა ციხე — ქალაქი ესე ძლიერ შეა-ქართლ: წუნდა, ხერთუისი მტკურისა... კასპი და უფლის-ციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბახნი მისნი... ამათ ყოველთა ციხე ქალაქია წინა პოვნა კაცნი სასტიკად მბრძოლნი“ („ქართლის ცხოვრება“, ნაწ. 1, გვ. 11-2).

მაგრამ კაცნი სასტიკად მბრძოლნი, ყოველთვის ვერ ახერხებენ თავიანთ ქალაქის დაცვას და კასპი მრავალი გაჭირვება უნახავს.

<sup>1</sup> ნარცისი. — სოფილი ჭვერი ჭალა. „ქართლი“. 1912 წ., № 51, გვ. 3.

<sup>2</sup> „ქართლის ცხოვრება“, ნაწ. I. 1841 წ. გვ. 5.

<sup>3</sup> გადუ შრი. აღ, ერთ საქართველოს საქართველოსა. თბ., 1941 გვ. 83. 72.



456 წელს „ვითარ იქნა ვახტანგ (გორგასალი-ლ. ქ.) წლისა ათისა გარდომოვდეს ოცნი, სპანი ურიკვენი, და მოატყვენეს ქართლი, თავითვან შტეგრისით ვიდრე ბუნაძე, და მოაოხეს ულინი, არამდ ციხე — ქალაქი დაურჩეს თვინიერ კასპისა; ხოლო ქასპისა ქალაქი შემუსრნეს და ტყვე ყვნეს, და წარიყვანეს ვახტანგის და მიშრანდუხტ, სამი წლისა ქალი<sup>1</sup>, რომელიც კასპის სპასალარს ჰყავდა წამოყანილი ვახტანგ გორგასლის დედისაგან, ქალაქი და კასპისა<sup>2</sup>.

კასპის შშენებლობის გვიანდელ და მისი ზურგის მცველ სიმავრეთ შეიძლება ჩათვალის კლდეშადალას ციხე, რომელიც კასპის ჩოდილოეთია მდებარეობს (ექვსი კილომეტრის მანძილზე) და აღმართულია მდ. ლეხურის მარჯვენა მხარეზე ცურთ მაღალ კლდის თავზე.

ამ ციხის ნაგრევების ძირში დღესაც ჩანს ძველისძველი, მიუვალი და დღემდე შეუსწავლელი გაძოვებული.

კლდეშალალას ციხის შესახებ არავითარი ლიტერატურული წყაროები არ მოგვებოვება, გარდა იმ ისტორიული ლეგენდისა, რომელსაც პ. ჭალელი (ჯარბელაშვილი) გვაცნობს. მისი გაცმოცემით, ეს ციხე „არის დაშენებული მაღალ კლდეზე, რომელიც საკუთრიად კლდია მხოლოდ სამხრეთით და სახრეთ-აღმოსავლეთის მხრით, ხოლო სხვა ყველა მხრით მის გარშემო აღილი დაფარულია. ტყით და დაბალი ჯაგნარით... ჩრდილოეთის მხრით მოსავალი ამ „კლდეშალალა“ს ხედავს ტყიან მთაზე დაშენებულად, მაგრამ რა წამს ის მოექანი სამხრეთ აღმოსავლეთის მხრივ და შეხედავს ამ დახავსებულ უწინდელი სიმაგრის ნაგრევს, ნახავს, რომ კლდე უცებ დაწვებულია და ძირს უდევს მიუკარებელი ღრანტე“<sup>3</sup>

ასე სტრატეგიულად და მოხერხებით არის აგებული ეს ციხე ხეობის ყველაზე ვიწრო შესავალ გამოსავლის სადარაჯოდ.

ამ ციხეში კასპის მცხოვრები არამცუუ შიშიანობის დროს იხიზნებოდნენ, არამედ ჩრდილოეთიდან კასპზე წამოსულ მტერსაც აქ უკრავდნენ გზას.

არსებული გადაოცემით, მირიან მეფის იკვლილმდე, კლდემალლას ციხე მრერს ვერ იულია, ხოლო მას შემდეგ, როგორც კასპი, ისე ეს ციხე ოსებს სკერიათ, ვახტანგ გორგასლის მიერ მათ განდევნამდე.

ალბალ, ეს კლდემალლას ციხე ჰქონდა მხედველობაში ვახუშტის, როდესაც წერდა, რომ კასპსა და წლევის მთაში სტრანშმინდის მონასტერს „ზეით არს ციხე, საითვან გაძოიყვანეს ოცნთა გორგასლის დაი“<sup>4</sup>.

სამთავისის ტაძარი სოფელ სამთავისში მდებარებს მდ. ლეხურის პირას. ეს ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ უმშვენიერესი და ულამაზესი ძეგლთაგანია.

პლატონ იოსელიანის სეტყვით, იგი „აჯგბულია წარმართულ დროინდელ საყდრის ნათშე. აქაურობის პატრონები იყვნენ ლაზენები, მათი სიმაგრე იყო ლაზნა. იგინი ამოწყვიტეს 1625 წ.“ ამილახვრებმა, ქსნის ერისათვისა და ყიზილბაშთა ჯარების დახმარებით.

სამთავისი, მისი ტაძარი და სხვა მრავალი მამული ზევდგენიძე — ამილახვრებმა მე-15 საუკუნეში მიიღეს.

<sup>1</sup> ქართლის ცხოურება. ნატ. I. 1849 წ., გვ. 112; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ისტორიის ინ.ტიტეტი. ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული წუთა. თბ. 1942 წ., 83, 94.

<sup>2</sup> ი. 83, 83, 92.

<sup>3</sup> ჭალელი, პ. — კლდემალლას ციხე (ისტორიული ლეგენდა). „დროება“. 1875 წ., №№ 38, 39.

<sup>4</sup> ვანუ ზრი. — აღწერა სამეცნიერო საქართველოსა. თბ., 1941 წ., გვ. 72.



ვახუშტი სამთავისის ეკლესიაზე გაღმოვცემს: „არს ლეხურას აღმოსავლეთ, სამთავისი, ეკლესია დიდი, გუნდათიანი, დიდმ მცენერად შენებული. ზის ეპისკოპოსი, მწყემარ ქანისა და ლეხურის ხეობისა. ქმნილი არს იგ მამათაგანისა ისიდორესაგან, და დაფლულ არს იგი მუნევ“<sup>1</sup>.

ვახუშტის მიერ იქ ხენებული ისიდორე, დღევანდელი სამთავისის წინამორბედი პატარი ეკლესისა და მამაოსებელი, ერთ-ერთი იმ 13 მამათაგანია, რომლებიც ფარსმან შე-6 დროს (555-670 წ. წ.) მოვიდნენ საქართველოში კაპადოკიიდან.<sup>2</sup>

დღევანდელი სამთავისის ტაძრის ამშენებელი ყოფილა „ილარიონ სამთავნელი ყანჩოელის-ძე, რომელმან ეკლესია, მარანი და საწნახელი აღაშენა“<sup>3</sup>; თვით ტაძარი 1030 წელს აუგიათ, ხოლო მარანი და საწნახელი უფრო გვიან-1050 წელს.

სამთავისის ტაძრის აგება იმ პერიოდს ეკუთნის, როდესაც „მე-10 საუკუნის დამლევს და 11 საუკუნეში შემდგომ წარმატებას ძალშია ქართულმა ხელოვნებამაც. ამ დროიდან შემონახულია ქართული ხუროთმოძღვრების ბევრი საუცხოვო ძევლი, მათ შორის ბაგრატ მესამის მიერ აგებული ქუთაისისა და ბედის დიდებული ტაძრები, მცხეთის სვეტიცხოველი, ნიკორწმინდის, სამთავისისა და ბევრი სხვა ტაძრები“<sup>4</sup>.

სამთავისის ტაძარი უფრო აღრინდელია, ვიდრე ცნობილი იკორთის ტაძარი (1172 წ. აგებული), მაგრამ უფრო გვანია, ვიდრე მცხეთის ჯვარი (540-605 წ. წ.), წრომის ტაძარი (626-695 წ. წ.), ქუმურდო (964 წ.), ოშეის (958-966 წ. წ.) და სხვ. ზოგიერთი ცნობილი ტაძრები.

ძეგლის სრულიად გასავგბია სამთავისის ტაძრის ის სრულყოფილობა, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავდა მნახელნი, არა მარტო ძველად, არამედ თანამედროვე მეცნიერნიც.

უკადებიკოსი გ. ნ. ჩუბანაშვილი და პროფ. ბ. ვ. ხევერივი ამ ტაძრის აღწერისას განსაკუთრებით უსვამდნენ ხახს მის „утачненность пропорций, свободу размаха и высоту здания, а затем общую благородную сдержанность в декоративном убore.. Как все здание, так и его орнаментика, вполне обработанный кристалл“<sup>5</sup>.

ამაზე უფრო აღრე, ბროსე სამთავისის ტაძარზე წერდა: „Восточный фасад его украшен такими роскошными, орнаментами по которым он должен быть признаваем одним из прекраснейших в Грузии... архитекторы и скульпторы должны были истощить все свое воображение, все свое искусство резца, покрывая восточный фасад, а иногда и окна купола достойными изумления кружевами, в роде тех, которые уцелели поныне там, где время их не коснулось“<sup>6</sup>.

რაც შეეხება ტაძრის შინაგან აღნაგობას, იმავე ბროსეს თქმით, თავისი სიოპამაზით იქ უველუნე ღირსშესანიშნავი ყოფილა კანკელი. ეკლესიის შიგნით შექნეული ყოფილა ჭა, თავშეუარებულთა წყლით უზრუნველსაყოფად, ხოლო გუმბათის ქვეშ მყოფი აღგილი განკუთვნილი ყოფილა ამილახვრიანთ საგვარეულოს სასაფლაოდ.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 72.

<sup>2</sup> ჯანაშვილი, მ.— საქართველოს საეკლესიო ისტორია. თბ., 1880 წ., გვ. 48.

<sup>3</sup> ქუმონიკები და სხვა მაალები საქართველოს ისტორიისა.. გამოცემული თ. ქორდანის მიერ თბ., 1892 წ., გვ. 201.

<sup>4</sup> საქართველოს ისტორია. ნაწ. 1 ს. ჯანაშვილი რედაქციით. თბ., 1943 წ., გვ. 161.

<sup>5</sup> Чубинашвили, Г. Н. и Северов, Н. П.—Пути Грузинской архитектуры. Тб., 1936 г., стр. 132.

<sup>6</sup> Акты. Том 5, ч. 2-я. Т., 1873 г., стр. 1074.

10. საქ. გეოგრაფიული საზღიულო შეობები.

როგორც ვანუშტი გადმოგვცემს, სამთავისს მჯდარა ეპისკოპოსი, რომელიც მართავდა ქსნისა და ლეხურის ხეობათა საეპისკოპოსის. საქართველოს მთლიანობის პერიოდში, მეფეთა დაგვირგვინების დროს, სამთავისს ეპისკოპოსს საქმიანოდ საბატონ ადგილი ჰქონია მჩენილი, როგორც ამაზე „განგება დარბაზისა“ გადმოგვცემს<sup>1</sup>.

მე-19 საუკუნის დასაწყისში სამთავისს ეპარქიას ექვემდებარებოდა 17 სოფელი, 1 თავადი და 5 აზნაური<sup>2</sup> და მართავდა მას ათანასე ეპისკოპოსი, რომელიც სამთავისში იმყოფებოდა<sup>3</sup>. სამთავისს საეპისკოპოსო 1811 წ. გაუუძებიათ.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები ყოფილა ქვემო ჭილის ჩრდილოეთით ლეხურის ხეობაში.

აქ მრავლად გაშენებული კოშკების გარდა, ყურადღების ღირსია დაბა რეხი, მონასტერი ქვაბისმანი და არმაზი.

პირველი ორი ამინდის შესახებ ვახუშტი გადმოგვცემს: „ჭალის ზეით არს დაბა რეხი. რეხის აღმოსავლეთით არს მონასტერი ქვაბისმანი. ზის წინამდღვარი“.<sup>4</sup>

დაბა რეხი და ქვაბისმანი დღეს აღარ ჩანა, ხოლო მონასტრის სახელწოდებით აქ სადღეისოთ პატარა სოფელია გაშენებული.

რაც შეეხება არმაზს, იგი ცნობილია სოფ. ზახორის ახლო მდებარე წმ. გიორგის ეკლესიის სახით.

არმაზის ეკლესია აკადემიკოს გ. ნ. ჩუბანაშვილის სიტუაცით, წარმოადგენს: „... произведение эпохи, далеко отставающей от блестящего расцвета грузинского искусства на переломе VI и VII веков... которое поднялось, перерасло насилиственное разрушение культуры и традиций и которое знаменует эпоху, полную действительной жажды искания нового свободного творчества и новых художественных форм... эпоха эта совпадает с отчетливым подъемом национального самосознания, национальной культуры при фактическом ослаблении арабского засилия в Грузии VIII и IX в. в.“<sup>5</sup>

„ჭალის აღმოსავლით არს ციხე ცხვილოსიხა მთის ძირსა ზედა,“ გადმოგვცემს ვახუშტი; მაგრამ, თუ ვინ ააშენა ეს ციხე და როდისაა იგი აგებული ამაზე ისტორია სდომენის.

ლეხურის ხეობაში მდებარე ძვირფას ისტორიულ ძეგლთა აგება წარმოუდგენელია, თუ მათ მცველად საიმერი ციხე-დარაჯი არ ექნებოდათ, რომელსაც გაჭირვებაში მყოფი მოსახლეობა თავშესაფარადაც გამოიყენებდა.

ცხვილოს მფლობელი, აღბატონი, ის „დაჩი და იოანე, ძმანი სხვილოელნა“ (980-993 წ. წ.) იყვნები, რომელიც დაჩი კორინთელთან, ყანჩაველთან და სხვებთან ერთად ქართლის მეფე კონსტანტინეს (ამხაზთა მეფის ძეს) მიემხრნებ.

ცხვილოს ციხის მრავალ საუკუნიანი ისტორია და მისი კედლების სიმტკიცე დღესაც გაკვირვებას იწვევს მნახველში; იგი დუმილით გვაგონებს ძლიერებას და სიმტკიცეს ჩვენს წინაპართა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე გან-

<sup>1</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა... გამოცემული თ. უორდანიას მიერ. თბ., 1892 წ., გვ. 45.

<sup>2</sup> Бакрадзе, Д. Кавказ в древних памятниках христианства. Т. 1875 г., стр. 113.

<sup>3</sup> „Акты“. Том I. 1866 г., стр. 531.


<sup>4</sup> ვახუშტი. აღწერა სამეცნისა საქართველოსა. თბ., 1941 წ., გვ. 72.

<sup>5</sup> Чубинашвили. Г. Н.—Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье. Т., 1942 г., стр. 11.

<sup>6</sup> ქართლის ცოცვება. ნაწ. I., 1849., 83. 203.



საკუთრებული სიმამაცით და ვაჟა-ცობით ოცავდნენ აღმოსავლეთიდან მოზღვა-  
ვებული, თუ შიგნით ამხედრებული მტრის მრავალრიცხოვანი, ლაშქრისაგან  
ლეხურის ხეობას და მით შიდა ქართლს. ცხეილოს ციხე გვაეკირვებს თავისი  
ბუმბერაზობით, კედლების სიმაღლით და სისქით, უზარმაზარი ქვების იმ სიმა-  
ღლე მთაზე ატანით და შემაერთებელ—დამაკავშირებელი მასალის იმ იშვიათი  
სიმტკიცით, რაც იმ დროინდელი სამშენებლო საქმის მაღალ დონეზე მიგვი-  
თითებს.



ცხეილოს ციხე.

ამჟამად საქართველოში გადარჩენილ მის ტოლ ციხეებს შორის, არა მგო-  
ნია, ბევრი იყვეს ისე მტკიცედ და კარგად შენახული, როგორც ცხეილოს ციხე.  
შემთხვევით არაა, რომ დღესაც ემჩნევა ციხეში მოწყობილი ოთახები, ბუხრები,  
შეკლის მილები და სხვა მოწყობილობა საჭირო ხანგრძლივი თავდაცვისათვის.

უდავოა, რომ ცხეილოს ციხის მაღალ კედლებსა და მის დაბლა მყოფ  
ვრცელ ბურჯებიდნ გალავნებს (ეს გალავნები ამ ათიოდე წლის წინათ იქნა და-  
ნგრეული) შემკულს პალატებით, დარბაზებით და ჯვარპატიოსნის ეკლესიით<sup>1</sup>  
დაბულითა არა ერთი და ორი ასეული ოჯახი გადაურჩენია მტრისაგან აწიო-  
კებისაგან.

ამ „გალავნების ჩრდილო—დასავლეთის კუთხიდან რამდენიმე ნაბიჯზედ  
ჯაგებში, დღესაც სჩინს გვის ტახტი, ქვიტკირისა, ასე სამი ოთხკუთხი ხაუენი  
დაკიბული ზედ ასასვლელად“<sup>2</sup>—ო, წერდა ცხეილოელი (პ. კარბელ აშვილი)  
ამ ორმოცდაათი წლის წინათ.

<sup>1</sup> ცხეილოელი (კარბელ აშვილი), პ.—მასალად ამილაზვართა ისტორიისა. „ივე-  
რია“. 1891 წ., №№ 237, 238; 1893 წ., № 77.

<sup>2</sup> ივერია. № 238.

ამ გალავნებში თავშეფარების იმედით იყო გაშენებული შეელი სოფ. სხივილო მთელი რიგი უბნებით (გეთაანთი, სომხიაანთი და სხვ.), რომლის ნან-გრევები მოხუც ჭალელებს დღესაც კარგად ახსოვთ.

ცხვილოს ციხეს მოხდენილი სტრატეგიული მდებარეობა აქვს, მისგან ხედვის არე ფართოა; ციხე გადასცერის წლევსა და მუხრანის ველს არაგვის მისაღვმამდე, ქსნის ციხეს, მტკვრის არემარეს—კასპისა და კლდემაღალის გასწვრივ, ტირიფონის ველის აღმოსავლეთ ნაწილს, დანახვისის ციხეს და ლეხურის ხეობის ჩრდილოეთის საქმაო ნაწილს; იგი აშენებულია მოხერხებულ იღვილას, საიდანაც მოდარაჯუთ შეეძლოთ მტრის შემოსევაზე ცნობის მიღება—გადაცემა (ცეცხლის დანთებით) და მასთან ერთად გორილგან თბილისისაკენ (ან პირიქით) გამოჭრილი მტრისათვის გზის გადაჭრა, ლეხურის ხეობაში შეჭრილ მოთარეშეთათვის ქარის ჩაკეტვა და ჩრდილოეთიდან ხეობაში გამოსული მტრისათვის შეგებება.

ცხვილოს ციხისათვის მრავალჯერ შეუფარებიათ თავი ამილახვრიანთ ახლობლებითურთ, დიდგვაროვან კაცებს და თვით საქართველოს მეფეებსაც. ამავ ცხილოს ციხეს და გალავნებს ბევრჯერ უნახავს შემოსეული მტრის ურდოები და მრავალი თავგანწირული ბრძოლები.

აქ იყო, რომ 1445-1469 წ. წ. ოსებმა „სოფელი ცხვილო მოაოხრეს; მთლად და ერთის კოჭლის მეტი არ გადარჩენდათ ცოცხალი“.<sup>1</sup> აქ ჩაყენა სპარსთავარები ანდუყაფარ ამილახვარმა 1624 წ. და აქვე მაჟვეთა თავი სიმონ მეფე II-ს (1629. წ.) მეფის ბანქში შეპარულმა არაგვის ერისთავმა ზურაბმა, რომელმაც იგი (სვიმონ მეფის თავი) ქართლის ტახტის ბაძიებელ კანეთის მეფე თეომურაზ 1-ელს გაუგზავნა.<sup>2</sup>

ცოტა უფრო გვიან (1642 წ.) როსტომ მეფემ, იოთამ ამილიხვარსა და თეომურაზ მეფის სხვა მომხრების დამარცხების შემდეგ „შემუსრა ციხე ცხვილოსა“<sup>3</sup> ამავე „ცხვილოს ციხის დაბლა გალავნებში“ მოუყარა თავი საამილახვროს ლაშქარს გივი (1) ამილახვარმა 1690-1691 წ. წ., რადგან გორში იმ დროს მეფე ერეკლეს (1) მომხრე იოთამ დემეტრესძე ამილახვრი იყო გამაგრებული; ამავე ცხვილოს ციხისა და მისი გალავნების მიღამოებში გაიშალა ბრძოლა გივი (II) ამილახვარსა და ყიზილბაშთა შორის 1743-1744 წ. წ., როდესაც გივის მიერ დამარცხებული ყაზილბაშნი მუხრანს ილტვოდნენ და სხვ.

ლეხურის ხეობა ისეთ მნაშვნელოვან ისტორიულ ორ წყება ძეგლთა შუა მდებარეობს, როგორიცაა, ერთის მხრივ ჩვენს წელთაღრიცხვებამდე აგებული კასპი, უფლისციხე და ურბნისი და, მეორე მხრივ, ქსნის ხეობაში აღმოჩენილი ახალგორის საგანძურო, რომელიც იმავე ჩვენს წელთაღრიცხვამდელი დროით (6-5 სააუკუნეებით) თარიღდება.

ყველაუერი ეს იმას მოწმობს, რომ ლეხურის ხეობა ერთ-ერთი უძველესო სამოსახლო მხარეა.

<sup>1</sup> იქვე, № 228.

<sup>2</sup> ს. კაგაბაძე — საქართველოს მოკლე ისტორია. თბ. 1920 წ., გვ. 127; „ძველი საქართველო“. ტ. 2, თბ. 1913წ., გვ. 130-131; საქართველოს მოკლე ისტორია შედგენილი ბ. ჯანაბეგილისაგან. თბ., 1884 წ., გვ. 181. საქართველოს ისტორია. ს. ჯახაშვილი რედ., თბ., 1943 წ. გვ. 312 და სხვ.

<sup>3</sup> კარბეგ და შვილი, ბ. — ამილახვრიანთ საკვარეულოს ისტორიული გუარები. უძველეს საქართველო“. ტ. 2. ექვთ. თაყაიშვილის რედაქტორის ბაზით. თბ., 1913 წ., გვ. 101-138.



აღნიშნულთან კავშირში უნდა იქნას განხილული ამ ათიოდე წლის წინად ცხვილოს ციხის მიღმამოებში აღმოჩენილი ძველი თიხის საფლავები (ერთი მათგანი ჩვენი მითითებით გორის მუზეუმში შეიძინა), ის ძველი სამარხი (თიხის ჯამებით და ბრინჯაოს შუბით), რომელიც 1945 წ. მაისში იქნა აღმოჩენილი ქვემო ჭალაში მდ. ლეხურის კალაპოტში თათრიანთ მიწის პირას წისქვილის არხის გათხრის დროს, და ჩენს მიერ ლეხურის ხეობაში აღმოჩენილი ძველი ფულები (სპარსული, ოსმალური, ვენეტიკური დუკატი), რაც საქართველოს მუზეუმს გადაეცა.

### III მცირეოდენი ლეხურელთა ჭარხულიდან

ქვემო ჭილის დამაარსებელი და მისი პირველი მცხოვრები ანდუყაფარ ამილახვრის მეთაურობით სოფ. ცხვილოდან ჩამოსული ამილახვრები და მათი ყმები იყვნენ.

ანდუყაფარ ამილახვარი ირანშია ნამყოფი, სადაც მას მაჰმადიანობა მიულია და იქიდან შეფექ სეიმონ მეორესთან ერთად ბრუნდება, რომლის ცოლის დასაციგი ცოლად ირთავს.

ა. ამილახვარი მდიდარ ქორწილს იხდის ცხვილოს ციხის დაბლა მდგბარე გალავნებში, სადაც მოწვეული ჰყავდა მთელი ქართლის თავაღაზნაურობა და ჭარჩინებულნი. სტუმრები ა. ამილახვარს აღმარცვალდ უცხეროდნენ და უნდობლად ეკიდებოდნენ. მასპინძელმა შეამჩნია ეს გარემოება, გაუხმო თავის სახლიკიცებს და უთხრა, რომ მათ გალავნებში აღარ ედგომებათ ქართლის თავაღაზნაურობის შიშით და უმჯობესად მიაჩნია ჩასელი ჭალაში, სადაც იგინი 1619 წელს აშენებენ სახლებს კოშკებით. ამით ჩაეყარა საფუძველი დღევანდელ ქვემო ჭალას.<sup>1</sup>

მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში ჭალაში ჩამოსული ამილახვრები შუა სოფელში ერთიერთმანეთის გვერდით ოთხ მაღალ კოშქს იგებენ სახლებით და მაღალ გალავნებით. ამ გალავნებს კუთხეებში დაყოლილი ჰქონდათ შედარებით მომცრო კოშკები. სადღეისოთ, ამ მაღალ კოშკებიდან დაცულია: გივიაანთვული (ეკლესიის თავზე), მესხიანთვული (სკოლის წინ). და კუტიაანთვული (საავადმყოფოსთან), ხოლო მეოთხე კოშკი (თაყაანთვული), რომელიც კაბელანთ ჰქონდა გამოყენებული საცხოვრებლად და მარნად, ამ ოციოდე წლის წინად იქნა დანგრეული. დაბალ კოშკებიდან სადღეისოთ დაცულია სამი.


ჭალაში გაშენებული კოშკებისა და გალავნების მსგავსი ნაგებობანი ლეხურის ხეობაში ბლობად გვხვდება.

ჭალაში ჩამოსულ ა. ამილახვარს აუშენებია აგრეთვე „ვრცელი მშვენიერი აბანო; მისი მოხდენილი აუზები და კამარა დაქნილი თაღები მრავალს იკვირვებენ საუკეოო ხელოვნებით და სილამაზით... ამ აბანში ანდუყაფარმა ჩამოსუბნა ცხვილოდან ჯანაურას წყარო მიღებით“.<sup>2</sup> ეს მიღები ბლობად ხვდებო-

<sup>1</sup> დარბე და შეილი, პ. — ამილახვართა საფარისულოს ისტორიული გუგრები: „მექონიუმიუროვანი საქართველო“, ტ. 2. თ3. 1913 წ., გვ. 101-138.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 127-128.

და მოსახლეობას აბანოს ახლო მდებარე მიწების ხვნისა და სახლების საძირ-  
ქველის გათხრის დროს.



XVII საუკ. კოშკი.

აბანოს შენობა დღემდე თითქმის უნაკლოდ არის დაცული და მცირე-  
ოდენი სარჯების გაწევის შემდეგ, იგი კვლავ თავისი პირდაპირი დანიშნულებით  
შეიძლება გამოყენებულ იქნას.


ქვემო ჭალა განთქმული იყო აგრეთვე ძველი ეკლესიებით, რომელთა შო-  
რის მთავარია ჯვარპატიოსნისა და ლვისმშობლის.

ჯვარპატიოსნის ეკლესიის გალავნები აუშენებდა ამირინდო ავთანდილის-ძე  
ამილახვარს (1760 წ.), ქართლის მხედართმთავარს და გორის მოურავს, ხოლო  
ლვისმშობლის ეკლესია გივი (1) ამილახვარს მეულე თამარს (1630 წ.).



ამ საყდრებში მრავლად მოთავსებული ძველი ხატები და ჯვრები მდიდრულად იყო შემკული ოქრო-ვერცხლითა და თვალ-მარგალიტით.

ამ ჯვრებისა და ხატების ერთი ნაწილი ამილახვრიანთ შეირჩეულ—შემკული, ხოლო მეორე ნაწილი მოტანილი იყო საქართველოს სხვა კუთხებიდან, უმთავრესად ლეხურის ხეობაში მდებარე საყდრებიდან.<sup>1</sup>



XVII საუკ. აბანო.

ჯვარპატიოსნის ეკლესიაში მოთავსებულ ჯვრებს შორის ყველაზე უძველესი და უმნიშვნელოვანესი იყო ერთი დიდი ჯვარი (სიგრძით სამი არშინი და ათი ვერშოკი, ხოლო სიგანით 2 არშინი). ამ ჯვრის შესახებ ორნაირი გაღმოცემაა; ერთი ვერსიით, იგი დამზადებული იყო იმ ხისაგან, რომელიც ამოვიდა მცხეთაში დასაფლავებულ სიღონიას საფლავზე (რომელშიც დამარხული იყო სიღონიას ძმის—ვაჭარ ებრაელ ელიოსის მიერ პალეტინიდან მოტანილი ქრისტეს პერანგი), ხოლო მეორე ვერსიით—ეს ჯვარი დამზადებული იყო იმ ხისა-

<sup>1</sup> Микеладзе, А.—Сел. Квемо-Чала. „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“. 29, стр. 39.

გან, რომელიც მეუე მირიანმა მოაწრევინა კასპის მიდამოებში ნადირობის დროს. ეს ჯვარი მცხეთაში ყოფილა დასვენებული, მაგრამ იმის გამო, რომ იგი გაკეთებული იყო ამილახრიანთ ტყეში ძოჭრილი ხესაგან, ამილახრიანი მცხეთელებს ამ ჯვარს დიდხანს ედავებოდნენ. ბოლოს, ამილახრები იტაცებენ ჯვარს, გზაში მათ მცხეთელები წამოეწვეან, იმართება ბრძოლა, რომელშიც მცხეთელები იმარჯვებენ და ჭალელები გაქცევას აპირებენ, მაგრამ ამ დროს გზაზე შეიძირალებული ახალგორელი (დღევანდელი ლენინგრადი) სომეხი ვაჭრები მოდიან, რომლებიც მეზობელ ჭალელებს ეხმარებიან და მცხეთელებს ამარცებენ. ამის შემდეგ ჯვარპატიოსნის დღეობას დღესასწაულობდნენ, როგორც ქართველები, ისე ახალგორელი სომხები, რომლებიც ძველად განსაკუთრებული ჰქიმით გადმოდიოდნენ ჭალაში.<sup>1</sup>

გარდა აღნიშნულისა, ჭალის ეკლესიებში ინახებოდა იგრეთვე ძველი წელნაწერები, რომელთა შორის ყველაზე შესანიშნავი ყოფილა ღვთისმშობლის მიძინების „გულანი“ (საეკლესიო წიგნთა კრებული) და მასზე მოცემული წარწერები.

ეს „გულანი“ შესანიშნავი ყოფილა „სიღიღით, თავისი ვადამშერის გულდაღებით და სიძველით... ერთი სიტყვით ეს ძველი საკლებიო მწიგნობრობის ნაშთი“ ყოფილა, როგორც ამას დასკვნიდა მისი მნახველ — აღმწერი პ. კარბელაშვილი.<sup>2</sup>

თანამედროვე ქვემო ჭალა იმ აღმინისტრაციულ ერთეულში შედიოდა, რომელიც ვახუშტის ისტორიაში ნახსენები აქვს „25 საამილახეროდ რეხულაზე და მეჯუდაზე“.<sup>3</sup>

ქართლის ის ნაწილი, რომელიც ცნობილი იყო საამილახეროს სახელწოდებით, ამილახრიანთ სამფლობელოდ მას შემდეგ გადაეცათ, როდესაც მათმა შინაპარმა იოთამ ზევდგინიძე<sup>4</sup> მეფე გიორგი 8-ისათვის თავი გასწირა (1465 წ.).

ქართლის მეფე გიორგი მე-8-ის მოქმედება და მისი ცდა ქართლის გაძლიერება — გაერთიანებისათვის ბევრს არ მოსწონდა. არ მოსწონდა ეს აგრეთვე ყვარყვარე ათაბაგს (მესხეთ — ჯავახეთის მფლობელს). აღნიშნულის გამო ყვარყვარე ათაბაგმა სხვებთან ერთად გიორგი მე-8-ის მოკვლა განიხრახა. ეს ამბავი მეფეთან სამსახურში მყოფა იოთამ ზევდგინიძემ გაიგო, რაც თავარავანის ტბასთან ჯარებით მდგომ მეფეს მაშინვე აცნობა. მეფემ ეს არ დაიჯერა. მაშინ მან მეფეს სთხოვა, რომ შეთქმულების ღამეს იგი საიდუმლოდ მეფეს თავის კარავში შეეშვა, ხოლო თვით მეფე სხვაგან წასულიყო ღამის გასათვევებლად. მეფე ასეც მოიქცა და როდესაც მეორე დღეს იგი თავის კარავში შევიდა დაინახა, რომ ზევდგინიძე მძიმედ დაკოდილი სისხლში ცურავდა<sup>5</sup>. იოთამ ზე-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 40—44.

<sup>2</sup> „მწყემსი“. 1877 წ., № 43, გვ. 14.

<sup>3</sup> ვარ უ შტ ი. — საქართველოს ისტორია. თბ., 1885 წ., გვ. 15.

<sup>4</sup> ა კარბლაშვილის სიაჟვეთ. ეს იყო თაყა და არა იოთამ ზევდგინიძე („ივერია“, 1891 წ., №№ 237, 238; 1893 წ., № 77).

<sup>5</sup> ამილახვარი. — Из записок кн. Амилахвари, стр. 25-26. „ივერია“. 1891 წ., №№ 237, 238 და 1893 წ., № 77; „ძველი საქართველო“. ტ. 2 1913 წ., გვ. 106-107.



ცდგინიძე გარდაიცვალა, ხოლო გიორგი მე-8 ემ „მოიყვანა ძე იოთამისა, მიუბონა მას ციხენი და მამული და სპასებრობა ქართლისა, მოურაობა გორისა და სასაფლაოდ სამთავისი და ქარისა თვისისა ამილახორობა<sup>1</sup> მსახურობისათვის მამისა მისისა, ვითარც აჩვენებენ გუარი მათნი<sup>2</sup>.

ამილახორის თანამდებობასთან „დაკავშირებული ყოფილა საამილახეროს მამულების მფლობელობა აზნაურიშვილიან – გლეხიანთ“<sup>3</sup> და ლეხურისა და შეჯუდის შუა მდებარე მიწაშეყალზე და იქაურ აზნაურებსა და ყმებზე ბატონობა.

შემდეგ წლებში ამილახორის თანამდებობის მქონე ზევდგინიძეთა ვგარი ამილახვრის ვგარით შეცვლილა და თანამდებობასთან დაკავშირებული საამილახვრო მამულ-დედული და მისი მცხოვრები ამილახვრებს დაუსაკუთრებდა.

ასე ვამხდარან ამილახვრები ბატონ-პატრონი მოელი იმ უზარმაზარი ტერიტორიისა, რომელიც ერთ დროს ლეხურიდან მტკვარამდე და დიდ ლიანვამდე ცნობილი იყო საამილახვროდ, ხოლო ერთი ხელობა (გივი (2) ამილახვრის დროს) მის ფარგლებში ქსნის საერისთავოც შედიოდა.

საამილახვროს მამულ – დედულის მაუფლებლად ზევდგინიძეების დამკვიდრებამდე, აბულეთ ძაგინიძის ვგარი ყოფილა, რომელიც ლანგ-თემურის შემოსევის შემდეგ „ვარდავლინებულა“ და გორის სამოურავო-კი ხიმშია ზევდგინიძეს მიულია (1393-1404 წ. წ.) გიორგი მეფის ნებართვით<sup>4</sup>, რაც ზევდგინიძეებს ერთხელ ჩაუგდიათ ამილახვრობა მას ჩატბლაუჭებიან და ყოველთვის თავიანთი უფლებისა და გავლენის განმტკიცების ცდაში ყოფილან. მაგ., მეფე ალექსან-დრე 1-ის მიერ (1426 წ.) ზევდგინიძე ამილახორისაღმი ბოძებულ სიგელში ჩვენ კვითხულობთ: „მოვიდეს წინაშე ჩუენისა ჩუენნი დიდათ ერთგულნი და თავ-ჯადებით ნამსახური ზევდგინისძენი, გორის მოურავი და ეზოს ჩუხჩარები ავ-თანდილ, ზერდვინ და ოყა, გუაჯნეს, რათამცა სიგლითა ამით შეგუეშეალეს, და ვისმინეთ აჯა მათი და მიუბოძეთ ქარუმიძე ქავთარ და მისი შვილი და მომავალნი სახლისა მათისანი, მათითა მამულითა, საჯდომითა, სახლითა, ყანითა, ვენახითა, წყლითა და ბარითა, სახმრითა და უზმრითა, მისითა სამართლიანითა, ერთობ ყუელითა სამკუიდროდ სამამულოდ და უცილებლად“.<sup>5</sup>

ქავთარ ქარუმიძის შთამომავალნი შემდეგ წლებში ამილახვრიანთ მოურავები ხდებიან როგორც ჭალაში, ისე კასპში.

ამნაირად, საამილახვროდ წოდებული ტერიტორიის ბატონ-პატრონად ყოფილ ზევდგინიძეთა შთამომავალნი ამილახვარები ხდებიან, რომლებიც უმთავრესად ჯერ ძველ ცხვილოში (უწინ ერქვა სხეკილ), ხოლო შემდეგ ჭალაში ცხოვრობდნენ.

ისმება კითხვა, ვინ სცხოვრობდა თავდაპირეულად სოფ. ჭალაში?

აღნიშნულის შესახებ ჩვენ წარმოდგენას ვგაძლევს ის საამილახვრო დავთარი, რომელიც მე-17 საუკუნის შეორე ნახევრით არის დათარილებული.

<sup>1</sup> ამ-ლახორი წარმოსდგება სპარსული სიტყვა „აბირ-აბურ“ – ისაგან; „ამინახორი-მოელი სახელმწიფო მეცხნეობის მუზენების უფროსი და ვეზირის მოადგილე“ იყო (საქართველოს ისტორია: 1946 წ., გვ. 218).

<sup>2</sup> ვა ბ უ შ ტ ი ი. – საქართველოს ისტორია. თბ., 1885 წ., გვ. 305-306.

<sup>3</sup> უსასტოორიო მოამბე“. წ. 1. თბ., 1925 წ., გვ. 255.

<sup>4</sup> „შველი საქართველო“ ტ. 2. თბ., 1913 წ., გვ. 102.

<sup>5</sup> ქორინიძები და სიგა მასალა საქართველოს ისტორიისა და მშერლობისა... წ. 2. თბ., 1897 წ., გვ. 229.



ამ დავთარში მოცემულია ამილახვითი ყმების პერსონალური სია იმ-დროინდელ ჭალაში და მის ზევით მდებარე ცხვილის მაცხოვრებელთა ნუსხა.<sup>1</sup>

ეს სია სამხედრო მოთხოვნილებასთან დაკავშირებით არის შედგენილი; მასში ნაჩენებია, თუ ვის ოჯახიდან რამდენი მოლაშქრე უნდა გამოსულიყო და რა იარაღით უნდა ყოფილიყვნენ შეიარაღებულნი (თოფით, შუბით თუ შვილ-ისრით). იმ დროინდელ ჭალაში სულ 10 კომლი სახლებულა, ხოლო ცხვილოში 42 კომლი. თუ მხედველობაში მივიღებთ, ამავე დავთარში ნაჩენებ სხვა სოფ-ლების კომლთა რაოდენობას (კასპი—66 კომლი, სამთავისი-51, ორქოშანი-24, რენე-20 კომლი) უნდა დავისკვნათ, რომ იმ დროს ქვემო ჭალა ყველაზე პატარა სოფელი ყოფილა ლეხურის ხეობაში.

ჭალასა და ცხვილოში მე-17 ს. მეორე ნახევარში მცხოვრებ ყმათა გვა-რებიდან სადღეისოთ ქვემო ჭალაში ცხოვრობენ: გეთაშვილები, თათრიშვილები, ბაზლიძეები და ტერტერაშვილები.

უფრო გვიანდელ საბუთში, ამილახვითი გაყრის 1766 წ. დავთარში<sup>2</sup>, გარდა დასახელებულ ყმათა გვარებისა, ჩვენ გვხვდება: ზაალ ქარუმიძე, დეკანო-ზი-მღვდელი გიორგი პარკაძე, ალექსიშვილი (ალექსაშვილი?), ბახუა მეჯი-ნიბე (იქნან დღევანდელი ბახუშვილები?) და სხვ.. დანარჩენი გვარის ყმები ან ამოწყვეტილან და ან აუყრიათ თუ სხვაგან გადასახლებულან.

1791 წლის საბუთში სოუ. ცხვილო უკვე აღარ ჩანს, ხოლო ჭალაში მცხოვრებ კომლთა რაოდენობა სამჯერ გაზრდილა და მოლაშქრეთა რიცხვი—კი 44-მდე<sup>3</sup>, ალბათ ცხვილოელთა ერთ ნაწილის ჭალაში ჩამოსახლების ხარჯზე.

ჭალაში მცხოვრებ აზნაურთა და გლეხთა რაოდენობა 30 კომლს შეაღ-გენდა; სადღეისოდ ჭალაში მცხოვრებ გვართაგან ამ სიაში ნაჩენებია შემდეგი გვარები: ქეჩაშვილი, მურახაშვილი, საჩალელი, ბაზლიძე, ტერტერაშვილი, გე-თაშვილი, ბათილაშვალი, შიუკაშვილი, ოთარიშვილი და ხელაშვილი.

ჭალისა და ცხვილოს მოსახლეობა, ლეხურის ხეობის მთელ მოსახლეობასთან ერთად, უმთავრესად ხვნა-თესვას, მებალეობა-მევენახეობას და მესაქონლეობას მისდევდა.

ლეხურის ხეობაში კასპიდან საკორინთლომდე ხეხილი და ვაზი ბლომად ხარობდა ბოსტნეულის კულტურებთან ერთად, აღნიშნულზე ვახუშტი გადმოვ-ვცემს: „არს რეხის ხეობა (ქვაბისმანის მონასტრამდე — ლ. კ.) ხილიან-ევნიანი და ნაყოფიერი. ამის ზევით ქოლოთ — ქვიტკირითურთ, ვითარცა სხვა მთის აღა-გნი“<sup>4</sup>.

ნაყოფიერი და მოსავლიანი ყოფილა ავრეთვე ლეხურის მიდგმა ტირი-ფონის ველის აღმოსავლეთი ნაწილი.

„... ირწყვის მინდორი ესე (ტირიფონის ველი — ლ. კ.) მეჯვდის აღმო-სავლეთისა მეჯვდის რუთი. მოვალს ყოველნი მარცვალნი, თვინიერ ბრინჯ-ბან-

<sup>1</sup> ქავაბაძე გ. ს. — საამილახვრო დავთარი მე-17-ე საუკუნის მეორე ნახევრისა. თბ., 1925 წ., გვ. 8-28.

<sup>2</sup> საქ სსრ ცენტრალური არქივის ფონდი 226(1), საბ. № 854.

<sup>3</sup> საქართველოს მუნიციპალიტეტების აღწერილობა ჩ. ს. № 1617.

<sup>4</sup> ვაჟუშტი, საქართველოს გეოგრაფია. თბ., 1941 წ., გვ. 72



ბისა. მთის ძირს დაბნები აგრეთვე ვენახოვანნი და ხილიანნი, პირუტყვთა სიმრავლე: თვინიერ აქლემისა, არს ყოველივე<sup>1</sup>.

პირუტყვის სიმრავლე ახასიათებდა ჭალისა და ცხვილოს მიღამოებსაც, სადაც მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის დამლევს „ათას სულობით ღორისა და ცხვრის ფარები, ძროხის და სხვა საქონლის ჯოგები იქვე, ციხის გარშემო იკვებებოდნენ“.<sup>2</sup>

უკელა აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ლეხურის ხეობისა და ტირითონის ველის მოსახლეობა გასულ საუკუნეთა მანძილზე ფართოდ მისდევდა ხვნა—თესვას, მესაქონლეობას და მებაღეობა—მევენახეობას.

მაგრამ, ფეოდალურ საამილახვროში და კაპიტალისტური დროის სოფელში, ისევე, როგორც სხვაგან, ამ დოკუმენტის პატრონი მისი მწარმოებელი გლეხი კი არ იყო, არამედ მემამულე. შრომა და ჯაფა, მოსახლის მოყვანა თუ პირუტყვის მოვლა-პატრონობა ყმას ეკისრებოდა, მიღებული ნაყოფით კი უმეტესად მემამულე სარგებლობდა და გაჭირვების გამო სამშობლოდან გადახვეწილი ქართლელი მწარედ მოსთვამდა:

„ქართლი იჩისთვის დავაგდე,  
თოვლს დასდებს აღარ აიღებს,  
რაც მოსავალი მომივა,  
ბატონი მოვა წაიღებს“.

მაგრამ, გლეხის გაჭირვება და უბედობა მხოლოდ აშაში არ იყო, მას უფრო მეტი უბედურება დასტრიალებდა თავს.

გასულ საუკუნეთა მასალების შესწავლიდან მთელი სიცხადით ჩანს ლეხურელთა მრავალტანჯული ცხოვრება და დიდი გაჭირვება.

ქვემო ჭალა, საამილახვროს ერთ-ერთი ცენტრი, მთელი სიმძიმით განიცდიდა ბატონიყმურულელს, მტრის მიერ სამშობლოს წინააღმდეგ აღმართულ მახვილსა და დაუბოლოებულ სისხლის ლვრას, როგორც თავის მიწა-წყალზე, ისე საქართველოს სხვა კუთხებში და მის გარეთ, სადაც კი საამილახვროს დროშა და ლაშქარი საომრად მიღიოდა.

მასთან ერთად ლეხურის ხეობაში ისევე, როგორც მთელ იმ დროინდელ ქართლში, „ბატონი არ სცნობდა ყმის რაიმე უფლებას და როგორც ყმას, ისე მის ნაჭირნახულევს თავის საკუთრებათა სთვლიდა“.<sup>3</sup>

დამკვიდრებული უსამართლობით შეწუხებული ყმა გულჩითხრობილი გოდებდა:

„ამიღახვრიანთ ყმობითა,  
ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა,  
ვერც გავიტანე გუთანი,  
ვერც კალო ვლეწე მოზვრითა“.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 73.

<sup>2</sup> ქართელა შვილი, პ.—ერებულე მეფე და მისი შერილები. „ოფერია“, 1903 წ., № 108.

<sup>3</sup> ჯავახი შვილი ივ., ბერძენი შვილი ნ., ჯანმზრა ს. — საქართველოს ისტორია, თბ., 1943 წ., გვ. 351.

ან რას გახდებოდა შევიწროვებულ — გაჭირებული ქმა ბატონის წინაშე, რომელსაც ჯერ კიდევ 1856 წელს იგი ამილახვრიანთ საკუთრებად იყო მიჩნეული თავისი „ცოლშვილით, სახლკარით, კენახებით, სახნავი მიშებით და ღლეს რისაც ქვემოთ არიან ყოველივე მათი უძრავისა და მოძრავის პინებითა.“<sup>11</sup>

ყმა ბატონის საკუთრებად ჰყავდა მიჩნეული და ბატონი ყმას ისე ექცეოდა, როგორც მას სურდა. სწორედ ამაზეა ნათებამი.

„გაი და ვაი ვისაო,  
ამილახვრიანთ ყმასაო,  
წააკიდებენ ქვასაო,  
დააძახებენ დაჭხეა“<sup>3</sup>.

ამ ვაებისა და უბეღურობის გამო, მთელ ქართლთან ერთად, ლეხურის ხეთ-  
ბის მოსახლეობა ძალზე დაზარალებული იყო და გლეხთა ჩიცხვი მნიშვნელო-  
ვნად შემცირებული. „ისინი გასწყვიტეს და დატყვევეს ყიზილბაშებმა, ოსმა-  
ლებმა, ლეკებმა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ისინი აუტანელმა ბატონყმურმა  
პირობებმა გადააშენა. ”<sup>3</sup>

ბატონიშვილი—ფეოდალური და კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ ლენინელ გლეხობას არა ერთი და ორი სახელოვანი ბრძოლა აქვთ მოხდილი.

#### IV. ମର୍ଦ୍ଦାନ୍ତଲ୍ଲଙ୍ଘିତା

ლეხურის ხეობაში გაშენებულ სოფლებს შორის (სამხრეთიდან ჩრდილო-თის შიბართულებით) კველაზე მნიშვნელოვანია ოვით კასპი (რაიონის ცენტრი). თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობით მას მისდევენ: რეგალი ჭალა, ივოეთი სამთავისი, ქვემო ჭალა, ახალშენა და საკორინთლო, რომელიც სამხრეთ-ოსეთის ა. ო. საზღვარზე მდებარეობს. იმის ზევით კი სამხრეთ-ოსეთის ა. ო. ფარგლებში მდებარე პატარა — პატარა ოსურ სოფლებს შორის კველაზე ცნობილია: წირი, ზახორი, წოლდი, მონასტერი და დღესაც ქართველებით დასახლებული ქოლოთი (ლეხურის სათავეში).

ՍՇՈՐԵԾ „ամ եղոնձի մջեօթարյոմն յրտո մՇցցնցրո և սոցյելո, հռմցլսաց չյշուան յցըմո քալո և հռմցլու ուղղլցի սմտացրց և սոցլագ ամ եղոնձի“.<sup>4</sup> ամ սոցյելի յանութիւ նյուրճա: „Տամտացուն հրճություն, քալոս, Մշնոծա գուց և անաելյուա“.

ეს სოფელი „გაშენებულია უბან-უბან და შემორტყმულია გარშემო ვენა-ხებით ისე, რომ თუმცა აქ ცხოვრობს 160 კომლი, მაგრამ აღვილი—კი დიდი უჭირავს“-ონ.

ქვემო ჰალის უახლოესი წარსულის (მე-19 საუკუნის ბოლო) სახე, განსაკუთრებული სიცხადით და სისრულით წარმოგვიდგება გორის მაზრის სოფლების საერთო აღწერილობით: „Население горийской равнины живет в

<sup>1</sup> საქართველოს სსრ კუნძ. არქივის ფონდი 226(1), ხაზ. № 277.

<sup>2</sup> Տաճարութեալուս Առաջին Խորհրդ 220(1), 65.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორია. ს. ჯანაშიას მემკვიდრეობა, თბ., 1943 წ., გვ. 352.


\* "ପ୍ରକାଶନ". 1900 ଫ., No 45, 83. 717.

"பூத்துறை". 1912 ஜூலை, பக் 51, 82. 3



обыкновенных грузинских землянках и саклях, которые скучиваются все вместе без всякого порядка, или распределяются небольшими группами посреди обширных садов и виноградников, под тенью исполинских ореховых деревьев: вследствие этого, даже и не очень многолюдные селения нередко занимают пространство в несколько верст... Во многих деревнях возвышаются большие древние замки, окруженные скромными домиками мелкопоместных княжеских семейств, потомков могущественных и некогда феодальных владетелей".<sup>1</sup>

სწორედ ახევე მაღალ-მაღალი კოშკებით არის შემცული დღევანდელი ქვემო ჭალა; ამ კოშკების ძირში გაშენებულია ყოფილ მემაბულეთა ქვიტკირის მოხრდო თრსართულიანი სახლები, იმ დროს, როდესაც მოსახლეობის საკმაო დიდი ნაწილი ბანიან და ნახევრად მიწურ სახლებში აფარებდა თავს ჯერ კიდევ ამ სამიოდე ათეული წლის წინად.



ამილახვარიანთ სასახლე, კოშკი და გარის ეკლესია.

ლამაზი მდებარეობა, ისტორიული ნაშთების სიუხვე, რიგ შემთხვევაში სწორი ქუჩები, ხშირი მცენარეული, უამრავი კრამიტით გადახურული ქვიტკირის

<sup>1</sup> Материалы для изучения быта госуд. крестьян Зак. Края. Том. VI. Тифлис, 1887 г., стр. 278-279.

სახლები, მრავალი კულტურულ — სამეურნეო დაწესებულებანი, — აი რა ანსხავებს დღევანდელ საკოლმეურნეო ქვემო ჭალას წარსულისაგან.

ქვემო ჭალას ლეხურის ხეობაში გეოგრაფიულად და ეკონომიკურად ცენტრალური ადგილი უკავია და, როგორც მოსახლეობის რაოდენობით, ისე აქ მომქმედი ორგანიზაცია — დაწესებულებათა სიუხვით, მკეთრად განსხვავდება ახლობელი სოფლებისაგან. ეს სოფელი შორეული წარსულიდან დღემდე ძირეული აღმინისტრაციული ერთეულის (საზოგადოება, თემი, სას. — საბჭო) ცენტრად ითვლება და საკმაოდ კეთილმოწყობილ სამოსახლო პუნქტს წარმოადგენს; სოფელმა თავის განვითარების მაღალ დონეს, საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობით, საკოლმეურნეო წყობილების დროს მიაღწია.

ჯერ კიდევ 1898 წ. ქვემო ჭალა თავისსავე სახელწოდების საზოგადოების 12 სოფელს აერთიანებდა<sup>1</sup>, ხოლო მე-20 საუკ. დასაწყისისათვის 21 სამოსახლო პუნქტის ცენტრი იყო. შემდეგ წლებში მისი მნიშვნელობა უფრო იზრდება; 1917 წ. იგი 23 სოფლის აღმინისტრაციული ცენტრია,<sup>2</sup> ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას თავისივე სახელწოდების თემის 40-მდე სოფელს აერთიანებდა.

შემდეგ წლებში, ერთის მხრივ, სამხრეთ-ოსეთის ა. ო. გამოყოფის გამო, და, მეორე მხრივ, კასპის რაიონის ცალქე აღმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბების შემდეგ, ქვემო ჭალის თემს მთელი რიგი სოფლები გამოეყო. ამ სოფლების ერთი ნაწილი გორის რაიონში შევიდა, მეორე — ლენინგრძის რაიონში, ხოლო მესამე — კასპის რაიონში ახლად დაარსებულ — ნიკოზის, იგორისა და კოდისწყაროს სას. — საბჭოებში გადავიდა.

ამ გარემოებათა გამო, თუმცა ქვემო ჭალის აღმინისტრაციული მნიშვნელობა მცირდება (1923 წ. იგი აერთიანებდა 20 სოფელს,<sup>3</sup> 1925 წ.—22 სოფელს,<sup>4</sup> ხოლო ამგამად შვიდ სოფელს და აერთიანებს, მაგრამ მისი ეკონომიკურ — კულტურული მნიშვნელობა ძელთან შედარებით დიდათ არის გაზრდილი.

პატარ-პატარა სას. — საბჭოების დაარსებაში სრული გამოსახულება ჰქოვა საბჭოთა ხელისუფლების მზურნეობისამ მოსახლეობისადმი აღმინისტრაციულ-სამეურნეო და სოციალურ — კულტურულ დაწესებულებათა დაახლოების საქმეში, რითაც გაუმჯობესდა მოსახლეობის კავშირი აღმინისტრაციულ ორგანოებთან და მისი კულტურული და სამეურნეო მომსახურეობა.

მიუხედავათ ქვემო ჭალის აღმინისტრაციული მნიშვნელობის შემცირებისა, თუ რამდენად გაიზარდა მისი კულტურულ — სამეურნეო მნიშვნელობა ძველთან შედარებით, ეს ნათლად დასტურდება თუნდაც იმ მშრალი ნუსხიდან, რომელიც ქვემო ჭალაში სხვადასხვა დროს არსებულ და მომქმედ დაწესებულება — ორგანიზაციათა ჩამოთვლას შეიცავს.

<sup>1</sup> Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. 29, стр. 36.

<sup>2</sup> Горийский у. (По сельскохозяйственной переписи 1917 года), стр. 226.

<sup>3</sup> საქართველოს 1923. წ. სასოფლო — სამეურნეო აღწერა. ნაწ. I. თბ., 1925 წ., გვ. 14.

<sup>4</sup> გორის ოლქი ციფრებით, ზედ. ვ. კულტურული მიერ. გორი. 1930 წ., გვ. 94.



1884 წ. ქვემო ჭალაში ითვლებოდა: 126 საცხოვრებელი სახლი, ორი ექლესია, ერთი ორჯლასიანი სკოლა, ერთი საზოგადოებრივი პურის მაღაზია და ხუთი წისქვილი.<sup>1</sup>

1912 წ. ქვემო ჭალაში ორჯლასიან სკოლასთან ერთად მოქმედებდა „... საბოქაულო, საფერმლო პუნქტი, სამკითხველო, გლეხთა საურთიერთო ბანკი“ და სამი ეკლესია.

შემდეგ წლებში სოფელს რამე სახარბიელო დაწესებულება — ორგანიზაცია არ შემატებია. სამაგიეროდ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვე ეს სოფელი მდიდრდება კულტურულ — სამეურნეო დაწესებულებებით.

1925 წ. ალ. ფრუიძე „ახალი სოფელი“-ს ცურცლებზე ქვემო ჭალის შესახებ წერდა: „გვაქვს კომპერატივი, საექიმო პუნქტი, აგრონომიული განყოფილება, სას.-სამ. სესხის გამცემი ამხანაგობა, კლუბი, სასადილო, ქალთა წრე, სხიფლის ცხოვრების მომწყობი კომისიები, წითელი ჯვრის საზოგადოება<sup>2</sup>, ომშელთაც უნდა დაემატოს: სათემო საბჭო, ფოსტა, ოთხწლედი და სამანქანო ამხანაგობა. ორი ათეული წლის შემდეგ, ე. ი. 1945 წელს, სოფელ ქვემო ჭალაში მოქმედებდა: სრული საშუალო სკოლა, საბავშო ბაგა, საბავშო ბაღი, საკმაოდ ტევადი და კეთილმოწყობილი საკოლმეურნეო კლუბი (სცენით, როიალით და ვენური სეამებით), სამკითხველო, საექიმო პუნქტი<sup>3</sup> სპეციალური სტომატოლოგიური კაბინეტით, აფთიაქი, სავეტერინარო პუნქტი, სასოფლო მაღაზია, კომპერაციული სასადილო, სარაიონო მნიშვნელობის საკოლმეურნეო ბაზარი, შემპანური ღვინის კომბინაციის ქარხანა, სასოფლო საბჭო, ფოსტა და ტელეფონი, ცხვილოს ციხის ძირიდან გამოყვანილი წყალსადენი, ორი საგამოდ მძლავრი და შეძლებული კოლმეურნეობა (ამხანაგ სტალინის სახელობისა და ამ. ბერიას სახელობის) და 5 წისქვილი.

აი რა დიდი ცულილებანი განიცადა საკოლმეურნეო სოფელმა უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე განხორციელებული სოციალისტური მშენებლობის შედეგათ.

სოფლის სამეურნეო ცხოვრების განვითარებასთან არის დაკავშირებული თვით სოფლის მოსახლეობის ზრდა, მისი კულტურულ-სამეურნეო კეთილდღეობა და აღმავლობა.

სადღეისოდ, ქვემო ჭალა, მეჯუდასა და ქსანს შუა მდებარე სოფლებს შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ღილი სოფელია.

იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ლეხურის ხეობის მოსახლეობის მოძრაობაზე წარსულ საუკუნეთა მანძილზე, მიემართოთ ქართლისა და ქ. გორის მოსახლეობის მოძრაობას, ვინაიდან ქართლისა და ქ. გორის პოლიტიკურ-სამეურნეო და სოციალურ-კულტურული ცხოვრება, საქმაო სისრულით ასახავდა აღებული კუთხის პოლიტიკურ-სამეურნეო ცხოვრებისა და მოსახლეობის მოძრაობის პირობებსაც.

<sup>1</sup> Труды Тифлисского губернского стат. комитета. Вып. I. Т. 1886 г., стр. 89.

<sup>2</sup> ნარცისი. — სოფ. ქვემო ჭალა. „ქართლი“. 1912 წ.. № 45, გვ. 3.

<sup>3</sup> „ახალი სოფელი“. 1925 წ., № 14, გვ. 8.

<sup>4</sup> ამჟამად სააგადმოფოდ გადაკეთებული.



წარსულის მძიმე სამეურნეო — პოლიტიკური და სოციალურ — კულტურულთ პირობებით აიხსნება ის გარემოება, რომ ქართლში მე-15 საუკ. ნახევარში მცხოვრებ 60 ათ. კომლის ნაცვლად, მე-17 საუკ. ნახევარში მხოლოდ 24 ათ. კომლს-და ითვლიდნენ და 1770 წელს-კი 22,7 ათ. კომლს.<sup>1</sup>

ამნაირად, მოსახლეობის განსაკუთრებული შემცირება ჩვეულების გარეშე მტრის მოძალებისა და შინაური შუღლის გამო, განსხვავებით სხვა ქვეყნებისა-გან, სადაც „მე-15 საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან დაწყებული, გაისმის უდმივი საყვედური, რომელიც მხოლოდ დროგამოშვებით ნელდება, კაპიტა-ლისტური მეურნეობის ზრდაზე სოფლად და გლეხობის პროგრესიულ განა-გურებაზე“ (მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 691). მაგრამ ჩვენში ასევე მცირდე-ბოდა ქალაქების მოსახლეობა, მაგ. ქ. გორის:

1672 წ. ქ. გორში 500 კომლი ცხოვრობდა, ხოლო უფრო ადრე — ამაზე გაცილებით შეტი. ამის შემდეგ ქალაქის მოსახლეობა კვლავ შემცირებული და 1723 წელს კომლთა რიცხვი 300-მდე დასულა<sup>2</sup>. ოლებული წლების შემდეგ გო-რის მოსახლეობის რიცხვი კვლავ იზრდება. მე-19 საუკ. პირველ ნახევრის და-მლევს აქ ითვლებოდა 3.500 სული, 1880 წ.—5.668,<sup>3</sup> ხოლო 1886 წ.—7.243,<sup>4</sup> 1897 წ.—10.457 და 1917 წ.—12.867.<sup>5</sup>

ამ დროიდან გორის მოსახლეობა განუწყვეტლივ მატულობდა 1920 წლამ-დე, როდესაც ძომხდარი მიწისძვრის გამო, მოსახლეობის რიცხვი სავრძნობლად შეცირდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქ. გორში, სხვა ქალაქების მსგავსად, სამეურნეო — კულტურული მშენებლობა საკმაოდ ფართოდ გაიშალა, რასაც თან სდევდა მოსახლეობის ინტენსიური მატება; თუ 1922 წ. გორის ცხოვრებთა რიცხვი 9.236 სულს უზრიდა, 1926 წ. უკვე 10.547 სული ცხოვ-რობდა, ხოლო 1939 წ.—19.628 სული.

უდავოა, რომ ის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მთელ ქართლში და ქ. გორში, უშუალო გაელენას ახდენდა ქვემო ქალაზე და მისი მოსახლეობის რიცხვის მოძრაობაზე.

სწორედ განვლილ ისტორიულ მოვლენათა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ყოფილ საამი-ლახვრის მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის 1115 მხედრის ნაცვლად<sup>6</sup>, მე-18 საუკუნის დამლევს მხოლოდ მცირე მხედრობის გამოყვანა-და შეეძლო<sup>7</sup>. უდაოა, რომ მოლაშერეთა რიცხვის ასეთი შეცირება, თვით მოსახლეობის იმ კატასტრო-ფული შემცირებით იყო გამოწვეული, რომელსაც ადგილი ჰქონდა მთელ სა-ქართველოში და ამასთანავე ამ კუთხეშიც.

<sup>1</sup> ლ. ჭარბელაშვილი. — საქართველოს მოსახლეობა (საქ. სრუ შეც. აკადემიის გეოგრაფიის მნიშვნელოვანი ფონდი).

<sup>2</sup> ქადაგა ბაზე, ს. — საქართველოს ისტორია, 1922 წ., გვ. 112.

<sup>3</sup> В ухнико в и ли, Г. — Гори. Исторический очерк. Тб., 1939 г., стр. 46.

<sup>4</sup> გორის ოლქი ციფრებში. გორი, 1930 წ., გვ. 42.

<sup>5</sup> უფრო დაწესებულებით ის: დ გვრიტინგილი. — გორის ისტორიიდან 1947 წ., გვ. 19-21.

<sup>6</sup> ქადაგა ბაზე, ს. — სამილახვროს დავთამი. თბ., 1925 წ., გვ. 5.

<sup>7</sup> საქართველოს სსრ ცენტ. არქივის ფონდი 226 (1), საბ. 1820.



აღნიშნული დროის შემდეგ 1944 წლამდე ქვემო ჭალის მოსახლეობის მოძრაობა საკმაოდ ინტენსიური ზრდით ხასიათდება, რაც შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ:

წლები	კომლთა რიცხვი	მოსახლეობა ორიგი სქესის
1791 <sup>1)</sup>	30 <sup>11</sup>	ცნ. არაა
1865 <sup>2)</sup>	91 <sup>11</sup>	ცნ. არაა
1870 <sup>3)</sup>	102	526
1886 <sup>4)</sup>	168	1015
1897 <sup>5)</sup>	184	1255
1917 <sup>6)</sup>	247	1409
1926 <sup>7)</sup>	287	1413
1926 <sup>8)</sup>	313	1455
1939 <sup>9)</sup>	370	1572
1944 <sup>10)</sup>	370	1776

აღებული პერიოდის განმავლობაში, როგორც კომლთა რიცხვი, ისე მოსახლეობის რაოდენობა საკმაოდ მნიშვნელოვნად იზრდება.

თუ არა ძველად შემჩნეული სოფლიდან ჭალაქისაკენ მოსახლეობის ინტენსიური ლტოლვა, სოფლიდ არსებულ მძიმე მატერიალურ მდგომარეობის გამო, მოსახლეობის მატება გაცილებით მეტი გვექნებოდა. გარდა აღნიშნულისა, მოსახლეობის ზრდის ტემპის შენელებაზე გავლენას ახდენდა აგრეთვე სოფლიდან მრავალრიცხვანი თავადაზნაურობის საკმაო ნაწილის ჭალაქიდ წასვლა (ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე) და სამამულო ომთან დაკავშირებით რამდენიმე ასეული ჯანმრთელი მამაკაცის საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევა.

ურადღებას იქცევს აგრეთვე ორმოცამდე გლეხური ოჯახის ამ საში ათეული წლის წინად გარე სამუშაოებზე გასვლა და საბოლოოდ იქ ჩარჩენა, უმთავრესად — ჭალაქ თბილისში და გორში.

<sup>1</sup> საქართველოს მუნიციპალიტეტის აღწერილობა ჩ.в., № 1617.

<sup>2</sup> Список сельских обществ Тиф. губ., утвр. по полож., утвр. нам. Кавказа 11/IV—1865 г., стр., 15.

<sup>3</sup> Сборник материалов для описания Тифлисской губ. Том. 1, вып. 1. Т. 1870 г. стр. 40-41.

<sup>4</sup> Тифлисская губерния. Свод. стат. данных о насел. Кавк. Края, извлеченных из посемейных списков 1886 г. Т. 1893 г., стр. 7-11.

<sup>5</sup> Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. 29, стр. 30.

<sup>6</sup> Горийский уезд (по сельскохозяйственной переписи 1917 г.), стр. 226.

<sup>7</sup> სოულიად საქართველოს 1923 წ. სას.—სამ. აღწერის ჯამები. ნაწ. 2. თბ., 1926 წ..

<sup>8</sup> 38.

<sup>8</sup> გორის ოლქი ციფრებში. გორი. 1930 წ., გვ. 24.

<sup>9</sup> 1939 წლის მოსახლეობის აღწერის ცნობები.

<sup>10</sup> ქვემო ჭალის სას.—საბჭოს ცნობები.

<sup>11</sup> მხოლოდ გლეხები.

<sup>11</sup> საქ. გეოგრაფიული სახ.-ბის შრომები



აქაური გლეხობა ისევე, როგორც მთელი ქართლის, გარე სამუშაოებს უმთავრესად თბილისში და ოკინიგზებზე ეძებდა. მიუხდავად იმისა, რომ სოფლი-დან წასულნი, სხვა ქვეყნების მსგავსად, „უკელაზე ონიერ, ენერგიულ და ინტელიგენტულ მუშებს“ (ლენინი. თხუზულებანი, ტ. 2, გვ. 627) წარმოადგენ-დნენ, მათ არც აյ მოელოდათ სახარბიელო მდგომარეობა, ვინაიდან ქალაქიდ ისეც ბლომად იყვნენ უმუშევრები, და მით უფრო მეტად „იზრდებოდა სილა-რიბე, შიმშილი და უმუშევრობა“ (ლენინი, თხუზულებანი, ტ. 1, გვ. 28).

მიწის სიმცირესთან ერთად, აქაურ გლეხობას გარეთ გასვლას ისიც აი-ძულებდა, რომ აღებულ მარაჟში, ისევე როგორც ქართლში საერთოდ, დამ-ხმარე სარეწარმოები და შინა-მრეწველობა ვერ განვითარდა, განსხვავებით რუსე-თისაგან, სადაც „უკელაგან განვითარდა თავისი შინაური მრეწველობა“ (К. მარკს և ფ. ენგელს. სочинения, т. XVII, გვ. 257).

მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ზრდის ტემპების მხრივ, ქვემო ჭალა წინ უსწრებს ლეხურის ხეობის ყველა სოფლებს, გარდა კასპისა, რომელიც რაიცენ-ტრად გადაკეთებასთან და მრეწველობის მძლავრ განვითარებასთან დაკავში-რებით (ცემენტის ქარხანა, შივერის წარმოება და სხვ.) მოსახლეობის განსა-კუთრებით ინტენსიური ზრდით ხასიათდება.

ზემოაღნი მნულთან ერთად, ყურადღებას იქცევს კომლთა საშუალო სულა-დობრივი შემადგენლობის შემცირება, დაკავშირებული მოსახლეობის მატე-რიალურ—კულტურულ მდგომარეობასთან და ოჯახის წევრთა ხშირ გაყრასთან; საშუალოდ ერთ კომლზე მოდიოდა: 1897 წელს 8,7 სული, 1917 წ. — 5,7, 1926 წ. — 4,6, ხოლო 1944 წ. — 4,8 სული.

სამამულო ომის ბრწყინვალედ დამთავრების შედეგად ჯარში გაწვეულთა სახლებში დაბრუნება და მოსახლეობის ტულტურულ — მატერიალური მდგომა-რეობის შეზღვიმი გაუმჯობესება ხელს შეუწყობს მოსახლეობის ახალ მატებას.

ქვემო ჭალაში 1944 წ. მცირეწვრიან კომლთ რიცხვი (1-3 სული) 25,8% შეადგენდა (მათგან მოდიოდა მთელი სოფლის მოსახლეობის 12%), საშუალო-წევრიან (4-7) კომლთა ხვედრითი წონა 66,7% უდრიდა (74, 6% მოსახლეო-ბის), ხოლო მრავალწევრიანთა (8 და მეტი სულით) ხვედრითი წონა 7,5% შეადგენდა (მოსახლეობის 1,3,3%).

მცირეწვრიან ოჯახებს ეკუთვნიან უმთავრესად ახლად გაყრილი ოჯახები, და ინდივიდუალური გლეხური მეურნეობანი, რომელიც უმთავრესად დაჩია-ვებულ მეურნეობებს წარმოადგენდნენ.

ამავე 1944 წ. ერთ ინდივიდუალურ გლეხის მეურნეობაზე საშუალოდ 1,55 სულ მოდიოდა, მუშა-მოსამასახურებზე — 3,8, ხოლო კოლწევრზე — 5 სული, რაც ნათლად ადასტურებს კოლმეურნეთა შეძლებულობის ზრდას და მატერია-ლური დონის სიმაღლეს.

ქვემო ჭალის მოსახლეობა სქესის მიხედვით<sup>1</sup>:

<sup>1</sup> მოცემულია ზევით განხილული ცხრილის წყაროების მიხედვით.



წლები	ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ			%		
	მამაკ.	დედაკ.	სულ	მამაკ.	დედაკ.	სულ
1870	302	254	556	55,0	45,0	100
1886	539	476	1015	53,4	46,6	100
1897	705	510	1255	56,4	43,6	100
1917	751	658	1409	53,6	46,4	100
1923	725	688	1413	51,5	48,5	100
1926	755	700	1455	51,9	48,1	100
1939	7:3	779	1572	50,5	49,5	100

საქართველოსათვის უკანასკნელ აღწერამდე დამახასიათებელი მამაკაცთა რაოდენობის დედაკაცთა რიცხვზე გადაჭარბება თავის გამოსახულებას ქვემო ჭალაშიც პჰოვებს. ეს გადაჭარბება განსაკუთრებით მაღალი იყო გასული საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც, სხვა კუთხეების მსგავსად, ქალთა მნიშვნელოვანი მამაკაცთა ხელის გადაჭარბებას იწვევდა.

მე-20 საუკუნის მანძილზე მამაკაცთა და დედაკაცთა რიცხვის აღნიშნული შეუფარდებლობა თანდათან კლებულობს და დიდი სამამულო ომის დაწყებისას მამაკაცთა და დედაკაცთა რიცხვი თითქმის თანაბარი ხდება. აღნიშნული შეიძლება ახსნილ იქნას—ქალთა საყოფაცხოვრებო პირობათა იმ გაუმჯობესებით, რომელსაც ადგილი იქვს თანამედროვე საკოლმეურნეო სოფელში (საექიმო მომსახურეობის გაუმჯობესება, ორსულთათვის საბებით დახმარების ორგანიზაცია, საბავშო ბაგებისა და ბალების მოწყობა და სხვ.), და მამაკაცთა ერთი ნაწილის გარე სამუშაოებზე გასვლით.

რაც შეეხება მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, უნდა აღინიშნოს, რომ, კასპის რაიონში მდებარე ლეხურის ხეობის ყველა სოფლები ქართველებითა დასახლებული, გარდა რამოდენიმე პატარა სოფლისა (რგვალი ჭალა, გორაკა, პანტიანი, ვაკე), სადაც ოსები ცხოვრობენ.

ქვემო ჭალაში 1886 წ. მცხოვრებ 1015 სულიდან იყო: რუსი 4 სული, ოსი — სამი, ხოლო დანარჩენ მოსახლეობას ქართველობა შეაღვენდა. ორმოცი წლის შემდეგ (1926 წ.) აქ მცხოვრებ 1455 სულიდან იყო: ქართველი — 1392 სული, ოსი — 34, სომეხი — 19, რუსი — 5, ბერძენი — 4 და დანარჩენი ეროვნების — 6 სული.

ქვემო ჭალაში, როგორც ოჯახში, ისე მის გარეთ სალაპარაკო ენა ქართულია. სოფელში მცხოვრებ სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა ყველამ იციან ქართული; 1923 წ. (აღწერის მონაცემებით) ქვემო ჭალაში მცხოვრები სხვა ეროვნების ყველა წარმომადგენელი სალაპარაკო ენად ქართულს აღიარებდა, გარდა ოსებისა<sup>1</sup>.

ამნაირად, როგორც მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობით, ისე სალაპარაკო ენის მახედვით ქვემო ჭალა ქართული სოფელია.

<sup>1</sup> სრულად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჯამში. ნაწ. 2. ნაზ. I. სოფლობრივი ჯამშები. თბ., 1926 წ., გვ. 39.

აღნიშნული ნათლად არის ასახული შემდეგ მონაცემებში:

მოსახლეობის კატეგორიები	აბსოლუტურად			% % —ში		
	1886	1897	1917	1886	1897	1917
1. თავადაზნაურობა და სა- მღვდელოება . . . . .	154	100	92	14,9	7,6	5,9
2. გლეხობა . . . . .	861	1155	1317	85,1	92,4	94,1
ს უ ლ . . . . .	1015	1255	1409	100	100	100

საკოლმეურნეო სოფელში ძველად გაბატონებული კლასის ლიკვიდაციაში მთლად შეუცვალა სახე დღევანდელ ქვემო ჭალას და გაბატონებული ადგილი კოლმეურნებსა და მუშა-მოსამსახურებს მიეკუთვნა, ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა ხელითით წონის მკვეთრად შემკირნების პირობებში.

ქვემო წალის მოსახლეობის შემაღებელობა საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით 1944 წელს შემდეგით ხასიათობოდა:

საზოგადოებრივი ჯგუფები.	აპსოლუტურად		% % —ში	
	კომლთა რიცხვი	მოსახლეობა	კომლთა რიცხვი	მოსახ- ლეობა
1. კოლმეურნები . . . . .	311	1.521	84,1	85,6
2. მუშა-მოსამსახურენი . . . . .	50	226	13,5	12,7
3. ერთპიროვნული მეურნენი . . . . .	9	29	2,4	1,7
<b>ს უ ლ . . . . .</b>	<b>370</b>	<b>1.776</b>	<b>100</b>	<b>100</b>

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ სრულიად უზრუნველყო კოლ-  
მეურნეთა ხვედრითი წონის გადამწყვეტი როლი და მნიშვნელობა სოფლის  
მოსახლეობაში საბჭოთა ინტერესებისთან ერთად.

ერთპიროვნული მეურნეობანი ძირითადად მოხუცთაგან და შრომის უნარ-მოკლებულთაგან შესდგებიან, რომელთაც უმთავრესად ფიზიკური მუშაობა არ შეუძლიანთ და კოლმეურნეობის გარეშე იმყოფებიან. რაც შეეხება მუშა-მოსა-მსახურეთა რიცხვს, იგი უმთავრესად მასწავლებელთა, საექიმო, აგრძონომიული



და სააღრიცხვო პერსონალით არის წარმოდგენილი სოფლად სათანადო საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებით.

როგორც აღნიშნულიდან დაგინახეთ, თუმცა ლეხურის ხეობას და მით ქვემო ჭალას საკმაოდ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და კარგი ბუნებრივი პირობები ახასიათებს, მოსახლეობის მჭიდროდ დასახლებასა და მის ინტენსიურ ზრდასთან ერთად, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის მთავარი ფაქტორი ეს კი არაა, არამედ საწარმოო ძალათა განვითარება და წარმოებითი ურთიერთობაა. აღნიშნულის მიხედვით, საკვლევად აღებული მხარის განვითარებაში სამი პერიოდი უნდა გავაჩიოთ: ა) ფეოდალური წყობილების დრო—დღიდგან ქვემო ჭალის დაარსებისა მე-19 საუკ. მეორე ნახევრამდე, ბ) კაპიტალისტური წყობილების დრო—მე-19 საუკ. მეორე ნახევრიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, და გ) სოციალისტური — საბჭოთა ხელისუფლებისა და საკოლმეურნეო წყობილების ხანა.



კასპის ციფრული არქივი  
DIGITAL ARCHIVE OF KASPI